დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა
3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

5. - 7. ოქტომბერი, 2024

25 დეკემბერი, 2024

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გეორგ კოპფი, კემპტენის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	შორენა ქურდაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ფერაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	საავიაციო მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]			

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სწავლების ენა	ქართული	ინგლისური	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	180	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

პროგრამის მიზანი და შედეგები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებას. პროგრამების კვალიფიკაციების მიზნები განმარტებული და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი სამიზნე ჯგუფთან, სამიზნე პროფესიულ სფეროსთან და დისციპლინის საზოგადოებრივ კონტექსტთან მიმართებაში. ისინი ითვალისწინებენ აკადემიურ კვალიფიკაციას, ყოვლისმომცველ დასაქმების შესაძლებლობას, ასევე სტუდენტის ინდივიდუალურ პიროვნულ განვითარებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით და შემუშავებულია განათლების VI - VII დონეების შესაბამისად.

სამივე პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული, ლოგიკურად დაკავშირებულია და შედეგი შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიას. მიღების პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას. უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას აქტუალური და საერთაშორისო ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. სტუდენტების შეფასება გამჭვირვალე და მოქნილია. ყველა სტუდენტი ინფორმირებულია კონფერენციების და უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა ღონისძიების შესახებ.
საგნობრივი და სასწავლო გეგმის მიღმა არსებული საკვალიფიკაციო მიზნები და შესაძენი უნარები შეესაბამება პროგრამის დასრულებისას მისაღწევ დონეს. საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტები უზრუნველყოს ისეთი ცოდნით და უნარებით, რაც მათ აქცევს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსად, რომლებიც იმუშავებენ თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.
კლასტერში დაჯგუფებულ ყველა პროგრამას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და გამჭვირვალედ წარმოდგენილი სწავლის შედეგები. თითოეული პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამა კონკურენტუნარიანია როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზრებთან, ასევე უნივერსიტეტის მიზნებთან, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებთან მიმართებით.
ყველა პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული და ლოგიკურად დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამებში ნათლად არის ასახული, რომ ხორციელდებოდა კონსულტაციები სხვა შესადარებელ უნივერსიტეტებთან. მიღების პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას. უნივერსიტეტი მზადყოფნას გამოხატავს აქტუალური და საერთაშორისო

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. სტუდენტების შეფასება გამჭვირვალე და მოქნილია.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი კლასტერში წარმოადგენს სამ პროგრამას, რომლებიც ორიენტირებულია საჰაერო ტრანსპორტის და საავიაციო მენეჯმენტზე საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი, 180 კრედიტი, VI დონე):

აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს აღჭურვავს თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით სამოქალაქო ავიაციაში, ორიენტაციით მგზავრთა გადაყვანაზე და ტვირთის გადაზიდვაზე. ის აქცენტს აკეთებს მენეჯმენტის თეორიებზე, საოპერაციო უსაფრთხოებაზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე და ავიაციის მარეგულირებელ ასპექტებზე. დაწყებით სემესტრებში ხდება ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება, რაც სტუდენტებს ამზადებს ინგლისურ ენაზე ავიაციასთან დაკავშირებული უფრო რთული კურსებისთვის.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტი, VI დონე):

ქართულენოვანი პროგრამის მსგავსი სტრუქტურით და შინაარსით ინგლისურენოვანი პროგრამა მიმართულია საერთაშორისო აუდიტორიაზე. მასში არ არის გათვალისწინებული ქართული ენის კომპონენტი, მაგრამ მოიცავს ავიაციასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან კურსებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების კომპეტენციების განვითარებას გლობალური ავიაციის სექტორის შესაბამისად.

საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 60 კრედიტი, VII დონე):

პროგრამა განკუთვნილია ავიაციის სფეროში მენეჯერული გამოცდილების მქონე პროფესიონალებისთვის, მასში გაღრმავებულია ცოდნა სტრატეგიული პროექტების და ადამიანური რესურსების მართვაში, კორპორატიულ და მარკეტინგულ სტრატეგიებში და ოპერაციულ კვლევებში. ავიაციის ინდუსტრიაში მენეჯერული და გადაწყვეტილების მიღების უნარების გასაუმჯობესებლად პროგრამის აკადემიური შინაარსი გაერთიანებულია პრაქტიკულ გამოყენებასთან .

ყველა პროგრამაში თეორიულ სწავლება გაერთიანებულია პრაქტიკულ სწავლებასთან, სტაჟირების და უნარების განვითარების მიზნით გამოყენებულია პარტნიორობა წამყვან საავიაციო ორგანიზაციებთან.

კლასტერში წარმოდგენილი სამივე პროგრამა ახალია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

"მენეჯმენტის და ადმინისტრირების" კლასტერში გაერთიანებული პროგრამების შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 5 - 7 ოქტომბერს. პროგრამების კლასტერის შესაფასებლად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი, ჯგუფში შედიოდნენ დარგის ექსპერტები საქართველოდან, დამსაქმებელი ექსპერტი, უმაღლესი განათლების ექსპერტი და სტუდენტი ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფი მხარდაჭერილი იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორი წარმომადგენელით.
შეფასების პროცესი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან. განხორციელდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით და ღია გარემოში, რამაც ხელი შეუწყო ექსპერტების მუშაობას. დაწესებულებამ ძალიან კარგად წარმართა ვიზიტი და მაღალ დონეზე შეფასდა ექსპერტებთან თანამშრომლობისთის გუნდის საერთო მზაობა.
დაწესებულების მიერ დროულად იქნა მოწოდებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.
ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გაუზიარა პირველადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

ზოგადი რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ხარისხის შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად წინასწარ განსაზღვრული შაბლონების დანერგვა/გამოყენება

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

არ ეხება

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

არ ეხება

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.

არ ეხება

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერული რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა პრიორიტეტი მიანიჭოს ინფორმაციის გამოქვეყნებას ორივე ენაზე ახალი პროგრამების შინაარსის, სიახლეების და მიღების მოთხოვნების შესახებ.
- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად განახორციელოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის და სტუდენტების ჩართულობის თვისებრივი ანალიზი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შესაბამისი წამახალისებელი ზომების შემუშავება მაღალი ხარისხის კვლევების და სტუდენტების კვლევაში ჩართულობის ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით კვლევის ხელმძღვანელებისთვის და სტუდენტებისთვის.
- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა მიმართოს საერთაშორისო სტუდენტების სხვა სოციალურ აქტივობებში ჩასართავად.
- სასურველია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესში უნივერსიტეტმა განსაზღვროს მოთხოვნები ნაშრომების თანახელმძღვანელებისათვისაც.
- სასურველია, უნივერსიტეტმა განავითაროს დამატებითი მექანიზმები აკადემიური პერსონალის წასახალისებლად. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაში, სასწავლო და კვლევითი პერსონალის მოტივირებისა და განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის წახალისება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ჯილდოს სტრუქტურირებულ სქემას, რათა ხელი შეუწყოს მოტივაციასა და შედეგიანობას.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი დაესწროს ახალი ლექტორების მიერ ჩატარებულ ლექციებს.
- სასურველია მომზადდეს შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის) დამოუკიდებელი დოკუმენტი, რაც გაუმჯობესებს პროგრამის შეფასებას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან.

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

არ ეხება

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

არ ეხება

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი კვალიფიციურია და პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი ხელმძღვანელი, ძლიერი პრაქტიული გამოცდილებით სფეროში, რომელიც მუშაობს პროგრამის განვითარებაზე. თუმცა, სასურველია, სამაგისტრო პროგრამას ჰყავდეს სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე თანახელმძღვანელი, რომელმაც უკეთ შეიძლება შეძლოს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო მიმართულებით განვითარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

უნდა აღინიშნოს პროგრამების პრაქტიკული რესურსები - უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები წამყვან საავიაციო ორგანიზაციებთან, როგორიცაა TAV Georgia და Geo Handling, რომლებიც სტუდენტებს აძლევენ პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ რეალურ გარემოში შესაბამისი უნარების განვითარებას. აღნიშნული ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან და პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს უზრუნველყოფენ ვაუჩერებით და სპეციალური უნიფორმებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა პროგრამისთვის.

კარგ პრაქტიკას წარმოადგენს 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის სამ სემესტრად დაყოფა, სადაც პირველ ორ სემესტრზე განაწილებულია 45 კრედიტი, ხოლო მესამე სემესტრი ორიენტირებულია კვლევაზე, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაზე და დაცვაზე, რაც მოიცავს 15 კრედიტს.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

არ ეხება

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:
აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია დაწესებულების მისიის და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. პროგრამები მიზნად ისახავენ იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია კურსდამთავრებულებისთვის ავიაციის მენეჯმენტის სფეროში წარმატების მისაღწევად და დარგის და საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები კარგად არის განსაზღვრული, რეალისტური და მიღწევადია. ისინი შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ყოვლისმომცველ მისიას, რომელიც მიზნად ისახავს ავიაციის მენეჯმენტში, საავიაციო ინჟინერიაში და ბიზნესის ადმინისტრირებაში მაღალი ხარისხის განათლების და სწავლების უზრუნველყოფას. პროგრამები მიზნად ისახავენ კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ საავიაციო ინდუსტრიის მოთხოვნები და წვლილი შეიტანონ დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

მიზნები მორგებულია ავიაციის მენეჯმენტის სფეროს სპეციფიკურ მოთხოვნებზე და შესაბამის საგანმანათლებლო დონეებზე (საბაკალავრო და სამაგისტრო). მაგალითად, საბაკალავრო პროგრამები ორიენტირებულია ფართო დარგობრივ ცოდნაზე და ტრანსფერულ უნარებზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამები ხაზს უსვამენ სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარებს. პროგრამები მიზნად ისახავენ დარგობრივი კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამები მოიცავენ სასწავლო კურსებს მენეჯმენტის პრინციპებში, მარკეტინგში, ფინანსებში და ავიაციის სპეციფიკურ საგნებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ როგორც ავიაციის, ისე ზოგადი მენეჯმენტის შესაბამისი ყოვლისმომცველი ცოდნის და უნარების შეძენას. სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია უფრო გაძლიერებულ თემებზე და კვლევით უნარებზე, რაც სტუდენტებს ამზადებს უფრო მაღალი დონის პასუხისმგებლობებისთვის და ავიაციის მენეჯმენტის მიმართულებით დამოუკიდებელი კვლევებისთვის. პროგრამებს შეაქვთ წვლილი საავიაციო სფეროს განვითარებაში სასწავლო გეგმაში თანამედროვე პრაქტიკის, ტექნოლოგიური მიღწევების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნული კურსდამთავრებულებს ამზადებს საავიაციო სექტორში როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად. აქცენტი კვლევაზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან აღჭურვილნი დარგში ინოვაციების შეტანის და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. ისინი მხარს უჭერენ განათლების, კვლევის და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს სრულყოფის უნივერსიტეტის ვალდებულებას. პროგრამები შემუშავებულია დარგის დაინტერესებული მხარეების და შრომის ბაზრის ანალიზის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ისინი აკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საავიაციო ბაზრების მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებს. აღნიშნული შესაბამისობა ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ კურსდამთავრებულები არიან კონკურენტუნარიანები და კარგად მომზადებულნი დასაქმებისთვის.

პროგრამები ითვალისწინებს საერთაშორისო პერსპექტივებს და სტანდარტებს, რაც ასახავს საავიაციო ინდუსტრიის გლობალურ ხასიათს. მაგალითად, ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება და სასწავლო გეგმის განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობა ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციისადმი ვალდებულებას. პროგრამების მიზნები და დეტალები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და საშუალებას აძლევს პოტენციურ სტუდენტებს, დამსაქმებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო შეთავაზებების მიზნების და სტრუქტურის შესახებ.

პროგრამების შემუშავება და მუდმივი გაუმჯობესება მოიცავს აკადემიური პერსონალის, დარგის ექსპერტების და დამსაქმებლების ჩართულობას. აღნიშნული თანამშრომლობითი

მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მიზნები გაზიარებული და მხარდაჭერილია პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.

პროგრამა 1. "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი" - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი - VI დონე:

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; სწავლის სფეროს სპეციფიკა, დონე და საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. პროგრამა ხელს უწყობს დარგის და საზოგადოების განვითარებას და შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მისი აკადეიური პერსონალი / სკოლა / საგანმანათლებლო ერთეული და / ან მისი სტრუქტურული ერთეული ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებს და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებს. ის ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, სწავლის სფეროს და / ან განათლების დონის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია; ასევე გაზიარებულია თითოეულ პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მიზნები მოიცავს სტუდენტების მომზადებას ბიზნესის და საავიაციო გარემოს ფართო ცოდნით, კრიტიკული აზროვნებით და პრაქტიკული მენეჯერული უნარებით. პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, აერთიანებს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კურსებს, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველი ცოდნის და უნარების განვითარებას.

"საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამა შექმნილია სტუდენტების სამოქალაქო ავიაციის სფეროში ყოვლისმომცველი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით აღჭურვისთვის. ის კურსდამთავრებულებს ამზადებს საჰაერო გზით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის მართვისთვის, სადაც ხაზგასმულია სამოქალაქო ავიაციის სექტორში საექსპლუატაციო უსაფრთხოება, ორგანიზაციული მენეჯმენტი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება.

- **ცოდნა და უნარები:** სტუდენტები იძენენ საფუძვლიან ცოდნას ბიზნესის მენეჯმენტში და ავიაციის სპეციფიკურ საგნებში, როგორიცაა ოპერაციები, ხარისხი და ადამიანური რესურსების მართვა. ისინი ასევე ივითარებენ მონაცემთა ანალიზის, პრობლემების გადაჭრის და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- **პრაქტიკული სწავლება:** წამყვან საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით პროგრამა მოიცავს სტაჟირებებს და პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ უშუალო გამოცდილების და პრაქტიკული უნარების მიღებას.

- **შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობა:** პროგრამა აგებულია ადგილობრივი და საერთაშორისო საავიაციო სექტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას.
- **საზოგადოებაში შეტანილი წვლილი:** კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებით, პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს საავიაციო ინდუსტრიის განვითარებას და შეაქვს წვლილი ფართო საზოგადოებრივ პროგრესში.

პროგრამა 2. "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი" - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი - VI დონე:

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; სწავლის სფეროს სპეციფიკა, დონე და საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. პროგრამა ხელს უწყობს დარგის და საზოგადოების განვითარებას და შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მისი აკადეიური პერსონალი / სკოლა / საგანმანათლებლო ერთეული და / ან მისი სტრუქტურული ერთეული ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებს და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებს. ის ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, სწავლის სფეროს და / ან განათლების დონის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია; ასევე გაზიარებულია თითოეულ პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, საავიაციო ინდუსტრიისთვის შესაბამისი ინგლისური ენის კომუნიკაციის უნარებზე აქცენტით, პროგრამა ასევე მოიცავს 180 კრედიტს და მიჰყვება სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კურსების კომბინირებით. ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა იმეორებს მის ქართულ ანალოგს, ინტერნაციონალიზაციაზე დამატებითი აქცენტით უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად და გლობალური კარიერისთვის კურსდამთავრებულების მოსამზადებლად.

ძირითადი ასპექტები:

- **საერთაშორისო ორიენტაცია:** პროგრამა უზრუნველყოფს ინგლისურენოვან სასწავლო გეგმას, რაც აძლიერებს სტუდენტების მზაობას სამოქალაქო ავიაციაში გლობალური პოზიციებისთვის.
- **პრაქტიკული უნარები:** საერთაშორისო და ადგილობრივ საავიაციო კომპანიებში სტაჟირების გავლით, სტუდენტები იძენენ ღირებულ გამოცდილებას მგზავრების და ტვირთის მომსახურებაში, უსაფრთხოების რეგულაციებში და საავიაციო ოპერაციებში.
- **შრომის ბაზართან ინტეგრაცია:** სასწავლო გეგმა ასახავს საერთაშორისო ტენდენციებს და სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები კარგად არიან აღჭურვილნი კონკურენტულ გლობალურ ბაზრებზე დასაქმებისთვის.

- **მობილობის შესაძლებლობები:** პროგრამა ხელს უწყობს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობას, რაც სტუდენტებს სთავაზობს გაცვლითი პროგრამების და საერთაშორისო ქსელის შექმნის შესაძლებლობებს.

პროგრამა 3. "საავიაციო მენეჯმენტი" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი - VII დონე:

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; სწავლის სფეროს სპეციფიკა, დონე და საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. პროგრამა ხელს უწყობს დარგის და საზოგადოების განვითარებას და შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. მისი აკადეიური პერსონალი / სკოლა / საგანმანათლებლო ერთეული და / ან მისი სტრუქტურული ერთეული ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებს და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებს. ის ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, სწავლის სფეროს და / ან განათლების დონის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია; ასევე გაზიარებულია თითოეულ პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

- ორიენტირებულია მოწინავე ცოდნის და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ საავიაციო ინდუსტრიაში არსებულ რთულ და დინამიურ გარემოს.
- პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, კურსებს, რომლებიც შექმნილია საავიაციო მენეჯმენტში ცოდნის გასაღრმავებლად და კვლევითი შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

წარმოდგენილი ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა შექმნილია მენეჯერული გამოცდილების მქონე პროფესიონალებისთვის, ორიენტირებულია მოწინავე ცოდნაზე და სტრატეგიულ უნარებზე, რომლებიც აუცილებელია საავიაციო ინდუსტრიაში მაღალი დონის პოზიციებისთვის.

ძირითადი ასპექტები:

- **სპეციალიზებული ცოდნა:** პროგრამა მოიცავს ავიაციაზე მორგებულ მოდულებს პროექტების მართვაში, სტრატეგიულ მარკეტინგში, რისკების შემცირებასა და კორპორატიულ სტრატეგიაში.
- **კვლევა და ინოვაცია:** სტუდენტები ჩართულნი არიან სიღრმისეულ კვლევაში, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომით, რაც ხელს უწყობს რთულ საავიაციო სიტუაციებში კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემების გადაჭრას.
- **გლობალური პერსპექტივა:** საერთაშორისო ორიენტაციით, პროგრამა სტუდენტებს აკავშირებს გლობალურ საავიაციო სექტორთან, ხელს უწყობს ინოვაციას და კულტურათაშორის კომპეტენციებს.
- **როფესიული განვითარება :** კურსდამთავრებულები აღჭურვილნი არიან დინამიური გარემოს გაძღოლის, სტრატეგიული დაგეგმვის, ავიაკომპანიების ფუნქციონირების და

მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები კარგად არის სტრუქტურირებული და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. ისინი შექმნილია საავიაციო ინდუსტრიის სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და კურსდამთავრებულების მიერ იმ ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც საჭიროა მათი კარიერული წარმატებისთვის და დარგის და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისია https://ssu.edu.ge/mission-vision-values/;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება[4]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

[4] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან / და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის სათანადო დონეს, დარგის დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს გააგრძელონ სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე;

ყველა პროგრამა შეესაბამება სწავლის სფეროს თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი და მასში მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.).

კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები თანმიმდევრულია შინაარსის, სირთულის და კომპლექსურობის თვალსაზრისით და ვითარდება შესაბამისი ციკლების გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა პირი დაინტერესებულ მხარეებს აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების შესახებ.

ყველა პროგრამა შექმნილია მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი მიზნებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკურ საჭიროებებს. მათი სტრუქტურა და სასწავლო გეგმა ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტებს დარგის მაღალი დონის საჭირო ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით.

პროგრამის შემუშავების პროცესში, მათ შორის პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებაში, აქტიურად მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის განმახორციელებელი ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის აკადემიური და

ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დარგის სპეციალისტები და დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლები.

კლასტერში დაჯგუფებული სამივე საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მათი სწავლის დონის თვალსაზრისით შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიას მიაწოდოს საზოგადოებას ავიაციის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება და ავიაციის სწავლება, ავიაინჟინერია და ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური პერსონალი. მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შეუწყოს მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რაც მათ დაეხმარება გახდნენ პროფესიონალები. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი კვლევის და აღმოჩენების კულტურის განვითარებით და ახალი ცოდნის შექმნით პასუხობს ავიაციაში არსებულ ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს.
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამები უზრუნველყოფენ როგორც დარგობრივი კომპეტენციების, ისე ტრანსფერული უნარების განვითარებას. საბაკალავრო პროგრამები ორიენტირებულია ფართო დარგობრივი ცოდნის მიღებაზე და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რომლებიც საჭიროა როგორც დასაქმებისთვის, ისე უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის. მეორე მხრივ, სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია დარგობრივი ცოდნის გაღრმავებაზე და კვლევითი უნარების განვითარებაზე.
პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სხვადასხვა სასწავლო კურსები ხორციელდება სამოქალაქო ავიაციის სფეროში დასაქმებული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რაც ზრდის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს. ავიაციის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, დიდი ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის კომპონენტს, ამიტომ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს ზოგადი და პროფესიული (ბიზნესის ინგლისური) ენის სწავლებას, რომლის წარმატებით დაუფლების შემდეგ სტუდენტი გადადის B2 დონეზე, რაც მას საშუალებას აძლევს მეხუთე სემესტრიდან შეისწავლოს ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები, რაც შემდგომ აღრმავებს ინგლისური ენის ცოდნას და ავითარებს ავიაციის სფეროსთვის შესაბამის კომპეტენციებს.

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

"საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტები აღჭურვოს საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირების ეფექტური მართვისთვის საჭირო ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით . პროგრამა ითვალისწინებს

საავიაციო ორგანიზაციების მართვის ყოვლისმომცველ მიდგომას და აერთიანებს თეორიულ კონცეფციებს პრაქტიკულ გამოყენებასთან.
სწავლის შედეგები: სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გაზომვადი და მიღწევადია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს. აღნიშნული შედეგები ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ბიზნესის მართვის და სამოქალაქო ავიაციის პროცესების ფართო ცოდნის მიწოდებაზე. ძირითადი შედეგები მოიცავს ბიზნეს სტრატეგიების შეფასების, ავიაციაში მენეჯმენტის ინსტრუმენტების გამოყენების და ავიაციის სექტორში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად ანალიტიკური უნარების განვითარების უნარებს. პროგრამა ასევე აქცენტს აკეთებს ავიაციის და ბიზნესის დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციაზე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.
სექტორული შესაბამისობა: პროგრამის შინაარსი მორგებულია ავიაციის სექტორის მოთხოვნებზე, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების აღჭურვას საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირების მართვისთვის საჭირო პრაქტიკული უნარებით. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დარგის მოთხოვნებთან შესაბამისობით შრომის ბაზრისთვის სტუდენტების მომზადებას.
თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: სწავლის შედეგების შემუშავების პორცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური პერსონალის, მოწვეული ექსპერტების და დარგის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარე ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. შედეგები ასევე შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის დარგის დამსაქმებლების მოლოდინებს.
პროგრესი და უწყვეტობა: სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდგომი საგანმანათლებლო განვითარების მხარდასაჭერად, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს გააგრძელონ სწავლა უფრო მაღალ დონეზე ავიაციის მენეჯმენტში ან მონათესავე სფეროებში.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

"საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით არის ქართულენოვანი პროგრამის მსგავსი, თუმცა განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის. პროგრამა უზრუნველყოფს საჰაერო ტრანსპორტის მართვის სიღრმისეულ ცოდნას და ამავდროულად ორინეტირებულია ინგლისურ ენაზე ეფექტურ კომუნიკაციაზე.
სწავლის შედეგები: აღნიშნულ პროგრამას გააჩნია ქართულენოვანი პროგრამის მსგავსი სწავლის შედეგები, გარდა 2.5 სწავლის შედეგისა, რომელიც ორიენტირებულია ინგლისურ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის განხორციელებაზე. აღნიშნული სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება უმაღლესი განათლების

კვალიფიკაციების VI დონეს. პროგრამა სტუდენტებს ამზადებს ავიაციის სექტორში გადაწყვეტილების მიღების, მართვის და ოპერაციებისთვის, სადაც აქცენტი კეთდება უსაფრთხოებაზე, ეფექტურობაზე და სტრატეგიულ მართვაზე.
სექტორული შესაბამისობა: ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, ინგლისურენოვანი ვერსიაც შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის სექტორის საჭიროებებს და სტუდენტებს გადასცემს იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სირთულეებთან გასამკლავებლად. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეძლონ მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციულ პროცესებში და ეფექტურად გადაჭრან მგზავრების და ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები.

თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: სწავლის შედეგები შემუშავებულია აკადემიური პერსონალის, დარგის ექსპერტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას შრომის ბაზრის და სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიის განვითარებად მოთხოვნებთან.

პროგრესი და უწყვეტობა: პროგრამა იძლევა შემდგომი საგანმანათლებლო განვითარების შესაძლებლობას და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გააგრძელონს სწავლა სამაგისტრო დონეზე საავიაციო მენეჯმენტში ან მონათესავე სფეროებში.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
საავიაციო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შექმნილია მენეჯერული გამოცდილების საფუძველზე და უზრუნველყოფს ა მოწინავე ცოდნას და უნარებს ავიაციის მენეჯმენტში. პროგრამა ორიენტირებულია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე და დამოუკიდებელ კვლევაზე, რაც კურსდამთავრებულებს ამზადებს საავიაციო ინდუსტრიის ლიდერული პოზიციებისთვის.
სწავლის შედეგები: სამაგისტრო პროგრამას აქვს რვა ძირითადი სწავლის შედეგი, რომლებიც ორიენტირებულია მაღალი დონის მენეჯერულ უნარებზე, სტრატეგიულ დაგეგმვაზე და კრიტიკულ შეფასებაზე. ძირითადი შედეგები მოიცავს რთული პრობლემების გადასაჭრელად გლობალური საავიაციო გარემოს ანალიზის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავების, კრიტიკული აზროვნების და კვლევითი უნარების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლის შედეგებში ასევე ხაზგასმულია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და სწრაფად ცვალებად ინდუსტრიაში საკუთარი თავის და სხვების საქმიანობის ხარისხზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.
სექტორული შესაბამისობა: პროგრამა შეესაბამება ავიაციის ინდუსტრიის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ავიაციის მართვის თანამედროვე მიდგომებზე, მათ შორის ფრენების განრიგის შედგენაზე, რესურსების მართვაზე, რისკების შემცირებაზე და სტრატეგიულ

მარკეტინგზე. ის უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად მომზადებას სექტორის ლიდერობისთვის და ინოვაციებისთვის.
თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: საბაკალავრო პროგრამების მსგავსად, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება განხორციელდა აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და დარგის პროფესიონალების ჩართულობით. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ პროგრამა პასუხობს ავიაციის მენეჯმენტში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს და ამზადებს სტუდენტებს სექტორში მაღალი დონის პოზიციებისთვის.
პროგრესი და უწყვეტობა: პროგრამა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს წარმატების გზას ავიაციაში ან მონათესავე დარგებში უფროსი მენეჯერული პოზიციების დასაკავებლად. ის ასევე ხელს უწყობს იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ გააგრძელონ განათლების მიღება სადოქტორო საფეხურზე ან სხვა სასწავლო მიმართულებებით.

სტანდარტთან შესაბამისობა:

სწავლის შედეგების შესაბამისობა: სამივე პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც უზრუნველყოფს შინაარსის და მიზნების მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან შესაბამისობას. სწავლის შედეგები არის მკაფიო, გაზომვადი და მიღწევადი, თითოეული პროგრამა შექმნილია შესაბამისი კვალიფიკაციების ჩარჩოთი დადგენილი მოლოდინების დასაკმაყოფილებლად.
დარგობრივი და დასაქმების რელევანტურობა: თითოეული პროგრამა უზრუნველყოფს მისი სწავლის შედეგების შესაბამისობას საავიაციო სექტორის მიმდინარე მოთხოვნებთან. ისინი შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, როგორიცაა დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი და კურსდამთავრებულები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მომზადებას ინდუსტრიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროგრამები ასევე იძლევა შემდგომი აკადემიური პროგრესის შესაძლებლობებს, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას.
დონეებს შორის თანმიმდევრულობა: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები თანმიმდევრულია შინაარსის, სირთულის და კომპლექსურობის თვალსაზრისით. საბაკალავრო პროგრამები (VI დონე) ორიენტირებულია ავიაციის მენეჯმენტის სფეროში შესასვლელად ფართო ცოდნის და უნარების მიწოდებაზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამა (VII დონე) უფრო სიღრმისეულად უვითარებს გამოცდილი პროფესიონალებისთვის მოწინავე მენეჯერულ და კვლევით უნარებს.
სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი: სწავლის შედეგების შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, პროგრამების შრომის ბაზრის საჭიროებებთან და მიმდინარე ინდუსტრიულ პრაქტიკასთან

შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების მუდმივ რელევანტურობას და ეფექტურობას.
სასწავლო რესურსები და ლიტერატურა: პროგრამებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები გულდასმითაა შერჩეული, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობა და აისახოს საავიაციო ინდუსტრიაში არსებული უახლესი კვლევები და მიღწევები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფენ, სტუდენტების სათანადოდ აღჭურვას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და შრომის ბაზარზე წარმატების მისაღწევად.

დასკვნა:

სამივე პროგრამა შემუშავებულია გულდასმით, სტუდენტების სასწავლო საჭიროებების და საავიაციო ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მათში უზრუნველყოფილია მკაფიო პროგრესია ბაკალავრიატიდან მაგისტრატურამდე, თითოეული პროგრამა მოიცავს რელევანტურ, მიღწევად და რეალისტურ სწავლის შედეგებს, რომლებიც შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამები ჩამოყალიბებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ ავიაციის მენეჯმენტში წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შეძენა, ძლიერი აქცენტი კეთდება პრაქტიკულ გამოყენებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე და კომუნიკაციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაციები:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. აღნიშნული პროცესი შეესაბამება პერიოდულობას, რომელიც მორგებულია დარგობრივ მახასიათებლებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების რელევანტურობას და დროულობას და ასახავს სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის დინამიურ ხასიათს.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა შექმნილია სწავლის სფეროს და განათლების დონის თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ. საბაკალავრო, სამაგისტრო). შეფასება იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის: პირდაპირი შეფასების მეთოდები: ტესტები, დავალებები, კვლევითი პროექტები და ა.შ. და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები: გამოკითხვები, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და ა.შ. აღნიშნული მიდგომები ზომავს, თუ რამდენად კარგად აღწევენ სტუდენტები პროგრამით დაგეგმილ სწავლის შედეგებს.

გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის რეალურ სამყაროსთან შესაბამისობის და სანდოობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დაინტერესებული მხარეები მოიცავენ: დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს, პროფესიულ ასოციაციებს. დამსაქმებლები უზრუნველყოფენ მოსაზრებებს და ხედვებს პროგრამით გადაცემული უნარების და ცოდნის პრაქტიკული გამოყენებადობის შესახებ. კურსდამთავრებულები წარმოადგენენ უკუკავშირს მათი გამოცდილების და პროფესიულ საქმიანობაში მიღებული განათლების შესაბამისობის თაობაზე. პროფესიული ასოციაციები ეხმარებიან მიმდინარე დარგობრივ და აკადემიურ სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული თანამშრომლობა აძლიერებს სწავლის შედეგების შეფასების სიმკაცრეს და უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს შრომის ბაზრის და პროფესიული სფეროების მოლოდინებს.

თითოეული სწავლის შედეგი მხარდაჭერილია მკაფიოდ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებით, რომლებიც ადგენენ მიღწევის მოსალოდნელ დონეებს. შეფასების პროცესი მოიცავს:

- სტუდენტების მოსწრების მონიტორინგს.
- დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედეგების შეფასებას. აღნიშნული სისტემური მიდგომა ხელს უწყობს ხარვეზების და გასაუმჯობესებელი სფეროების დროულ გამოვლენას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი აღჭურვილია სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო უნარებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და გარე პარტნიორები, ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის და მიგნებების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას და ახალისებს პროგრამის გაუმჯობესების კოლექტიურ ძალისხმევას.

ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სისტემატური ანალიზი და გამოიყენება:

- პროგრამის შინაარსის მოდიფიცირებისთვის და განახლებისთვის.
- სწავლის შედეგების გადახედვისთვის განვითარებადი საჭიროებების უკეთ ასახვის მიზნით.
- შეფასების სისტემის კორექტირებისთვის მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
- სასწავლო რესურსების და მეთოდოლოგიების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას, ცვალებად საგანმანათლებლო და პროფესიულ გარემოში შესაბამისობის და ხარისხს შენარჩუნებას.

წარმოდგენილი მოთხოვნების ყოვლისმომცველი გათვალისწინებით, პროგრამა შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს, ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების კმაყოფილებას და შეაქვს წვლილი კურსდამთავრებულების საერთო აკადემიურ და პროფესიულ წარმატებაში.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები შიდა რეგულაციების და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მკაცრ წესებს. შეფასების გუნდი სათანადოდ არის სტრუქტურირებული, წევრები იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს, უზრუნველყოფენ ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველ მიდგომას და სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ შეფასების პროცესის ყველა ასპექტს. ეფექტურია გამოყენებული შეფასების

ტექნიკები, რომლებიც მოიცავენ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს. ადეკვატურია და პროფესიონალურად არის შემუშავებული უკუკავშირის მექანიზმები.

ყველა პროგრამის შესაფასებლად შემუშავებულია შიდა თვითშეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე შემფასებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, სამუშაო ჯგუფების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წვლილს. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს პროგრამების საფუძვლიან შიდა მიმოხილვას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღინიშნა და ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია და ჩართულია შეფასების პროცედურებში. სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი პროცესის შესახებ, რომელიც მათთვის ნათელი და გასაგები იყო.

თანმიმდევრულად ფასდება სწავლის შედეგები, სწავლის სფეროს და საგანმანათლებლო დონის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. შეფასების მეთოდები, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გამართულია და სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება აკადემიური პროგრამების გასაძლიერებლად და გასაუმჯობესებლად.

- რეგულარულად ფასდება სწავლის შედეგები და სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეფასების მეთოდოლოგიების მონიტორინგში და დახვეწაში, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.
- სასწავლო გეგმების და რესურსების პერიოდული განახლება უზრუნველყოფს დარგის ცვალებად მოთხოვნებთან შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას.

აღნიშნული სტრუქტურირებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამები ამზადებს კომპეტენტურ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას საავიაციო მენეჯმენტის დინამიურ სფეროში.

პროგრამა 1. "საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი" - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი - VI დონე

პროგრამა შექმნილია საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირების მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მყარი საფუძვლის უზრუნველსაყოფად. ძირითადი მახასიათებლები მოიცავს:

სწავლის შედეგები:

- კარგად განსაზღვრული სისტემა აფასებს სწავლის შედეგებს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, როგორიცაა გამოცდები, პრაქტიკული პროექტები და დამსაქმებელთა უკუკავშირი. შედეგები ორიენტირებულია მენეჯერულ, პრობლემების გადაჭრის უნარებზე და საჰაერო ტრანსპორტის რეგულაციების გაგებაზე.
- დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების წვლილი უზრუნველყოფს დარგის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შენარჩუნებას.
- პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების და დარგობრივი ცოდნის განვითარებას.

ნიშნულები და მონიტორინგი:

- რეგულარულად ხორციელდება სწავლის შედეგების ნიშნულებთან შედარება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- ხარისხის და თანმიმდევრულობის შენარჩუნების მიზნით ხორციელდება აკადემიური პერსონალის მომზადება შეფასების მეთოდებში.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

აღნიშნული პროგრამა იმეორებს ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამას, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებაა საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება. განმასხვავებელი ნიშნები მოიცავს:

სწავლის შედეგები:

- ორიენტაცია ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე ავიაციის კონტექსტში.
- პრაქტიკული მომზადება და სასწავლო კურსი მორგებულია გლობალური საავიაციო ინდუსტრიის სტანდარტებზე, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს იყვნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო დონეზე.

გარე ჩართულობა:

- გლობალური პარტნიორების და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა სწავლის შედეგების დასახვეწად და საერთაშორისო შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- საერთაშორისო მობილობის და გამოცდილების მიღების შესაძლებლობები Erasmus+ პროგრამების და ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორიცაა ENAC და ჟეშუვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

შეფასება:

- ხაზს უსვამს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში უკუკავშირის მექანიზმებით სტრატეგიულ და ანალიტიკურ აზროვნებას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის შედეგებთან შეფასებების შესაბამისობა.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.

პროგრამა ორიენტირებულია გაძლიერებულ მენეჯერულ კომპეტენციებზე გამოცდილების მქონე ავიაციის პროფესიონალებისთვის. ძირითადი ასპექტები მოიცავს:

სწავლის შედეგები:

- აღრმავებს გამოცდილებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, კორპორატიულ სტრატეგიებში და პროექტების მართვაში.
- ავითარებს კვლევით უნარებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გავლენის მქონე სამაგისტრო ნაშრომების შესაქმნელად და საავიაციო ინდუსტრიაში არსებული რთული გამოწვევების გადასაჭრელად.

შეფასების მეთოდები:

- სტრუქტურირებული რუბრიკების მეშვეობით ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომების მკაცრი შეფასება, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას.
- გარე ექსპერტები წარმოადგენენ ღირებულ უკუკავშირს, რაც აძლიერებს პროგრამის სანდოობას და დარგის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პრაქტიკული შესაბამისობა:

- მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, როგორიცაა შემთხვევების შესწავლა და სტრატეგიული სიმულაციები, იმისათვის, რომაღჭურვოს სტუდენტები რეალურ სამყაროში გამოსაყენებელი უნარებით.
- ინდუსტრიის ლიდერებთან თანამშრომლობაზე ორიენტაცია, როგორიცაა TAV საქართველო უზრუნველყოფს ინდუსტრიის თანამედროვე ტენდენციებთან პრაქტიკული მომზადების შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა";
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის " უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი";
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები;
- წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- შრომის ბაზრის ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: **არ ეხება**

კლასტერის საერთო რჩევები: **არ ეხება**

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაციები:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია უნივერსიტეტში დადგენილი და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის" შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების შესაბამისობას უსდ-ს მეთოდოლოგიასთან.

პროგრამის შემუშავება არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც მონაწილეობენ ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური საბჭო, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ჩართულობის მრავალფეროვნება ადასტურებს ყოვლისმომცველ და თანამშრომლობით მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.
საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად.
პროგრამების სასწავლო კურსების დატვირთვა ისეა განაწილებული, რომ სტუდენტი ეტაპობრივად იღებს სიღრმისეულ დარგობრივ ცოდნას.
კლასტერში შემავალი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს მის უნიკალურობას. პროგრამები სტრუქტურირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ასახავს კვალიფიკაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამაში არსებული ნებისმიერი კონცენტრაციის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. პროგრამების სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია. სწავლების და კვლევის კომპონენტები, მათ შორის ინდივიდუალური კურსები, უმეტესწილად ორგანიზებული და განვითარებულია თანმიმდევრულად, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესიას. შემდგომი კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები უმეტესწილად ადეკვატურად არის განსაზღვრული პროგრამის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პროგრამები შემუშავებულია შრომის ბაზრის უახლესი ანალიზის და თანამედროვე საავიაციო ინდუსტრიის ტენდენციების გათვალისწინებით. განახლებები მოიცავს გადახედილ სილაბუსებს, უნივერსიტეტის პერსონალის მიერ განახლებულ ლიტერატურას და საერთაშორისო აკადემიურ და პროფესიულ ორგანიზაციებთან პარტნიორობას. აღნიშნული ძალისხმევა უზრუნველყოფს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების შესაბამისობას საავიაციო მენეჯმენტის და განათლების უახლეს მოთხოვნებთან.

კლასტერი მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისთვის. ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა მხარდაჭერილია Erasmus+ შეთანხმებებით და გლობალურ უნივერსიტეტებთან და საავიაციო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის მობილობას. გარდა ამისა, პროგრამები ხაზს უსვამს ინგლისური ენის ცოდნას, სასწავლო გეგმაში ენის სწავლების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ გაძლიერდეს გლობალური დასაქმების შესაძლებლობები და კომუნიკაცია საავიაციო ინდუსტრიაში.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას თავისი ვებ - გვერდის, საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების და ღია კარის დღეების მეშვეობით. დაშვების წინაპირობები, პროგრამის

დეტალები და განაცხადის პროცედურები ხელმისაწვდომია ონლაინ და რეგიონებში ჩატარებულ საინფორმაციო სესიებზე. ძალისხმევა მოიცავს სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებზე მორგებულ მხარდაჭერას, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ შესაძლებლობებს და სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

აღნიშნული ჩარჩო დემონსტრირებს დაწესებულების ვალდებულებას თანამედროვე სტანდარტების დანერგვის, საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობის და პოტენციური და მოქმედი სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიმართ.

1. პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

აღნიშნული პროგრამა შექმნილია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში სტუდენტებისთვის ყოვლისმომცველი ცოდნის და პრაქტიკული უნარების გადასაცემად. ის ორიენტირებულია სამოქალაქო ავიაციის სექტორში მგზავრების და ტვირთის უსაფრთხო და ეფექტურ ტრანსპორტირებაზე. სასწავლო გეგმა მოიცავს მენეჯმენტის თეორიებს, საოპერაციო პრაქტიკას და დარგთან დაკავშირებულ მარეგულირებელ სტანდარტებს. ის ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების, ანალიტიკური აზროვნების და კომუნიკაციის უნარების განვითარებას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

პროგრამა აგებულია ეროვნული და ევროპული საკვალიფიკაციო სტანდარტების შესაბამისად და 180 კრედიტის ფარგლებში უზრუნველყოფს ლოგიკურ პროგრესს. ძირითადი კურსები ფარავს ისეთ თემებს, როგორიცაა ეკონომიკა, მარკეტინგი, ბუღალტერია და ავიაციასთან დაკავშირებული მოდულები საჰაერო ტრანსპორტის ოპერაციებში და უსაფრთხოებაში. პრაქტიკული კომპონენტები მოიცავს სტაჟირებას, რომელიც ხორციელდება წამყვან საავიაციო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, რაც სტუდენტებს ეხმარება რეალური გამოცდილების მიღებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საბაკალავრო სწავლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოიცავს 180 კრედიტს. მისი შინაარსი და სტრუქტურა მორგებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილია ყოვლისმომცველი რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და შეთავაზებულ კურსებს შორის კავშირს.

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 180 კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად არის განაწილებული:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 136 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 20 კრედიტი;
- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები – 24 კრედიტი.

პროგრამა აერთიანებს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ არჩევით კურსებს ძირითად სწავლის სფეროში სრულყოფილი განათლების მისაღებად. სავალდებულო კურსების

მეშვეობით სტუდენტები იღებენ მენეჯმენტის მიმართულების ფართო ცოდნას, მათ შორის საჰაერო ტრანსპორტის მართვაში, რაც ხელს უწყობს თეორიების, პრინციპების და თანამედროვე მიღწევების კრიტიკულ გააზრებას.

სავალდებულო კურსების ნაწილი მიმართულია სტუდენტებისთვის აუცილებელი ცოდნის და უნარების გადაცემაზე ორგანიზაციების მენეჯმენტისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო ავიაციის სექტორში. აღნიშნული კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს ეფექტურად დაგეგმონ და გააკონტროლონ ბიზნეს საქმიანობა, ამავდროულად ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად გამოიყენონ ინოვაციური მეთოდები. ძირითადი კურსები ასევე ხაზს უსვამენ ანალიტიკური უნარების განვითარებას ორგანიზაციების, მათ შორის ავიაციის სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრას.

სასწავლო გეგმა მოიცავს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელ საგნებს, როგორიცაა ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგი, კალკულუსი, სტატისტიკა, ფინანსური აღრიცხვა და მენეჯერული აღრიცხვა. სპეციალიზებული ავიაციის კურსები კიდევ უფრო აღრმავებს დარგის სპეციფიკური პროცესების შესახებ სტუდენტების ცოდნას და ამზადებს მათ სამოქალაქო ავიაციის სექტორში აქტიური მონაწილეობისთვის.

თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მოიცავს ოთხ სემესტრს და ითვალისწინებს ზოგადი და პროფესიული ინგლისური ენის სწავლებას მაღალი დონის კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად. ეს უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ განახორციელონ ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სამოქალაქო ავიაციის სფეროს დაინტერესებულ მხარეებთან.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამა იმეორებს ქართულენოვანი ანალოგის სტრუქტურას და მიზნებს, მაგრამ განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის. სწავლების და კომუნიკაციის ინგლისური ენა კურსდამთავრებულებს ამზადებს გლობალური სამოქალაქო ავიაციის პოზიციებისთვის. მართვის და საოპერაციო პრინციპებზე ორიენტაციის პარალელურად, პროგრამა არ მოიცავს ზოგად ინგლისურ ენას, რომელიც გათვალისწინებულია ქართულენოვან პროგრამაში და მის ნაცვლად საკომუნიკაციო უნარების განვითარების მიზნით სთავაზობს შესაბამის ქართული ენის კურსებს.

180 კრედიტის მოცულობის სასწავლო გეგმის ფარგლებში, სტუდენტები იღებენ მყარ განათლებას ბიზნესის მართვის და ავიაციის სპეციფიკური მიმართულებით. ინდუსტრიის პარტნიორებთან პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობები სტუდენტებს უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილებით, რაც თეორიულ ცოდნას აკავშირებს პრაქტიკულ გამოყენებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი საბაკალვრო დონისთვის განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ჯამში 180 კრედიტით.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილია დეტალური რუკა, რომელიც დემონსტრირებს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და შეთავაზებულ კურსებს შორის კავშირს.

საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 180 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები – 136 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები – 20 კრედიტი;
- თავისუფალი სავალდებულო კურსები – 24 კრედიტი.

ძირითად სწავლის სფეროში სრულყოფილი განათლების მისაღებად პროგრამა აერთიანებს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ სავალდებულო კურსებს. სავალდებულო კურსების მეშვეობით სტუდენტები იღებენ ფართო ცოდნას მენეჯმენტში, განსაკუთრებული აქცენტით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტზე. აღნიშნული მოიცავს ძირითადი თეორიების, პრინციპების და უახლესი ტენდენციების და პრაქტიკის ღრმა გაგებას.

სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი ეთმობა კურსებს, რომლებიც სტუდენტებს აძლევს აუცილებელ ცოდნას და უნარებს ორგანიზაციების, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის სექტორის მენეჯმენტში. აღნიშნული სტუდენტებს ეხმარება განივითარონ ბიზნეს საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვის და მართვის უნარები, ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად გამოიყენონ ეფექტური მეთოდები. გარდა ამისა, ძირითადი კურსები აძლიერებენ სტუდენტების ანალიტიკურ უნარებს, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად და ეფექტურად გადაჭრან ორგანიზაციების, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციების პრობლემები.

პროგრამა ასევე ფარავს ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღებისთვის აუცილებელ საგნებს, როგორიცაა ეკონომიკის პრინციპები, მარკეტინგი, კალკულუსი, სტატისტიკა, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა. გათვალისწინებულია ავიაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური კურსები სტუდენტების ინდუსტრიული პროცესების გაგების გასაღრმავებლად, რაც მათ ამზადებს სამოქალაქო ავიაციის სექტორში აქტიური წვლილის შესატანად და მონაწილეობის მისაღებად. კურსების აღნიშნული კომბინაცია უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ავიაციის ინდუსტრიაში ინტეგრაციისთის კარგად მომზადებას.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.

სამაგისტრო პროგრამა მიმართულია პროფესიონალებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ავიაციაში მინიმუმ ხუთწლიანი მმართველობითი გამოცდილება. ის ორიენტირებულია სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების, კვლევის და ანალიტიკური უნარების გაძლიერებაზე, რომლებიც მორგებულია ავიაციის ინდუსტრიაზე. სტუდენტები იღებენ ღრმა ცოდნას სტრატეგიულ მენეჯმენტში, მარკეტინგში, ადამიანური რესურსების მართვაში და ოპერაციულ დაგეგმვაში, რაც მხარდაჭერილია თანამედროვე შემთხვევების შესწავლით და კვლევებით.

სამი ტრიმესტრის ფარგლებში 60 კრედიტის მოცულობით, პროგრამა მოიცავს ინტენსიურ სასწავლო კურსებს და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებით და დაცვით. ავიაციის სპეციფიკური და მენეჯმენტის სწავლების უნიკალური ნაზავი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად მომზადებას გლობალური ავიაციის სექტორის დინამიური გამოწვევების გადასაჭრელად.

პროგრამა სტრუქტურირებულია სამ ტრიმესტრად, თითოეულის ხანგრძლივობაა 15 კვირა. თითოეული ტრიმესტრი შედგება 5 კვირიანი სწავლებისგან, რომელსაც მოჰყვება 2 კვირა შუალედური შეფასებებისთვის, კიდევ ერთი 5 კვირა სწავლებისთვის და სრულდება 3 კვირით, რომელიც ეთმობა საბოლოო გამოცდებს (საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოცდებს). ჯამში 45 კრედიტი განაწილებულია პირველ ორ ტრიმესტრზე, ხოლო მესამე ტრიმესტრი ორიენტირებულია კვლევაზე, სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაზე და მის დაცვაზე, რაც მოიცავს 15 კრედიტს.

სასწავლო კურსები სტუდენტებს უზრუნველყოფს ღრმა ცოდნით, რომელიც შეესაბამება მათ სასურველ კვალიფიკაციას ავიაციის მენეჯმენტში. აღნიშნული კურსები შექმნილია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად, ორიენტირებულია დარგის ძირითად ასპექტებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს ავიაციის სპეციფიკურ მოდულებს და ზოგადი მენეჯმენტის კურსების უნიკალურ ნაზავს, რომლებიც მორგებულია ავიაციის ინდუსტრიის კონტექსტზე.

გარდა ამისა, პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გადავიდნენ ოპერაციული დავალებებიდან და ითანამშრომლონ სხვა ავიაციის მენეჯერებთან. აღნიშნული იძლევა ახალი იდეების შესწავლის, მიმდინარე ტენდენციების განხილვის და ავიაციის სექტორში უახლეს აზროვნებასთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს 60 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის სამ ტრიმესტრად დაყოფის კარგი პრაქტიკა, საიდანაც ჯამში 45 კრედიტი განაწილებულია პირველ ორ ტრიმესტრზე, ხოლო მესამე ტრიმესტრი მიმართულია კვლევაზე, სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაზე და მის დაცვაზე, რაც მოიცავს 15 კრედიტს.

დასკვნები:

- ყველა პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და ქართულ საკანონმდებლო სტანდარტებს.
- სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ლოგიკურ პროგრესიას და დარგობრივ კომპეტენციებს.
- ინგლისურენოვანი შინაარსის შეთავაზებით, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით და გლობალური ინდუსტრიის სტანდარტების ასახვით პროგრამები მოიცავენ ინტერნაციონალიზაციას.

- დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები, აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების პროცესში.
- დეტალური ინფორმაცია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მიღების წინაპირობების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია.

აღნიშნული პროგრამები შექმნილია სტრატეგიულად როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებს აღჭურვას იმ უნარებით და ცოდნით, რაც საჭიროა ავიაციის ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის " უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი";
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები;
- წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაციები:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით / საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის / საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის / საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება აღნიშნული კურსის/საგნის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის/საგნისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება აღნიშნული კურსის/საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს; ასევე, ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა და გათვალისწინებულია კურსის/საგნის თავისებურებები; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის/საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ფასდება თითოეული აკადემიური კურსის/საგნის ყველა სწავლის შედეგი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სწავლების და სწავლის რესურსები შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სწავლების და სწავლის რესურსები შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და ითვალისწინებს დაეგში არსებულ უახლეს კვლევებს აკადემიური კურსის / საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამის მიზნები მორგებულია სწავლის სფეროს, აკადემიური დონის და საგანმანათლებლო მიზნების დეტალებზე. აღნიშნული მიზნები აღწერენ იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებსაც კურსდამთავრებულები შეიძენენ და დემოსნტრირებენ, თუ როგორ უწყობს ხელს პროგრამა როგორც დისციპლინის, ისე საზოგადოების განვითარებას. კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი ადასტურებს ბიზნესის და ადმინისტრირების კურსდამთავრებულებზე არსებულ მოთხოვნას, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

პროგრამა 1. **საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.**

"საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა შექმნილია საბაკალავრო სწავლებისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ის უზრუნველყოფს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის და ზოგადი ბიზნეს მენეჯმენტის ყოვლისმომცველ გაგებას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ უნარებზე ორიენტაციით. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და განათლების დონეს. კურსების შინაარსი და სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ დასახულ სწავლის შედეგებს.

შინაარსი და სწავლის შედეგები: სავალდებულო კურსებში მოცულია თემების ფართო სპექტრი მენეჯმენტში, ეკონომიკაში, მარკეტინგში და სამოქალაქო ავიაციაში. აღნიშნული კურსები უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ კრიტიკული ცოდნის მიღებას როგორც მენეჯმენტის სფეროში, ასევე ავიაციის სპეციფიკურ პრაქტიკაში. სასწავლო გეგმა აერთიანებს ბალანსს თეორიასა და პრაქტიკას შორის, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ გადაწყვეტილების მიღების და ანალიტიკური უნარები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საავიაციო ინდუსტრიაში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

კრედიტების განაწილება და სასწავლო საათები: პროგრამა სტრუქტურირებულია საჭირო 180 კრედიტის დასაკმაყოფილებლად, განაწილებით, რომელიც მოიცავს სავალდებულო (136 კრედიტი), არჩევით (20 კრედიტი) და თავისუფალ სავალდებულო კურსებს (24 კრედიტი). საკონტაქტო საათების (ლექციები, სემინარები) და დამოუკიდებელი სწავლის საათების თანაფარდობა დაბალანსებულია სწავლის შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად. თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს ყოველკვირეულ ტესტირებას და პრაქტიკულ სამუშაოს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო მიზნების მიღწევას.

რესურსები: სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალები შეესაბამება კურსის მიზნებს და ასახავს დარგში არსებულ უახლეს კვლევებს და გამოწვევებს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები თანამედროვე ინდუსტრიული პრაქტიკით და აკადემიური მიღწევებით ფლობენ განახლებულ მონაცემებს.

ინგლისური ენის კომპონენტი: პროგრამა ასევე აქცენტს აკეთებს ინგლისური ენის ცოდნის განვითარებაზე, განსაკუთრებით პროფესიული კომუნიკაციისთვის. აღნიშნული კომპონენტი აძლიერებს სტუდენტების უნარს ეფექტურად ჩაერთონ სამოქალაქო ავიაციის სექტორში მიმდინარე როგორც წერილობით, ისე ზეპირ კომუნიკაციაში.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.

"საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია იზიარებს ქართულენოვანი პროგრამის ანალოგიურ აკადემიურ სტრუქტურას და მიზნებს, თუმცა მიმართულია სტუდენტების გლობალურ აუდიტორიაზე. პროგრამა სტუდენტებს

სთავაზობს როგორც მენეჯმენტის პრინციპების, ასევე საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიის სპეციფიკის ფართო და სიღრმისეულ ცოდნას.
შინაარსი და სწავლის შედეგები: ქართულენოვანი პროგრამის მსგავსად, აღნიშნული ინგლისურენოვანი ვერსია მოიცავს კურსებს, რომლებიც სტუდენტებს აძლევს მენეჯმენტის პრინციპების, ეკონომიკის, მარკეტინგის და სამოქალაქო ავიაციის პრაქტიკის კრიტიკულ გაგებას. ის უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ორგანიზაციების, განსაკუთრებით ავიაციის სექტორში, მართვისთვის საჭირო ცოდნის და უნარების შეძენას. პროგრამა სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციებში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად ასევე ავითარებს ანალიტიკურ აზროვნებას.
კრედიტების განაწილება და სასწავლო საათები: პროგრამა მიჰყვება იმავე კრედიტების განაწილებას და აკადემიურ სტრუქტურას და ჯამში მოიცავს 180 კრედიტს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათებს შორის ბალანსი ადეკვატურია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ თითოეული კურსის სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.
რესურსები: ქართულენოვანი პროგრამის ანალოგიურად, პროგრამა სტუდენტების სწავლის მხარდასაჭერად და დარგის გაგების უზრუნველსაყოფად აწვდის საჭირო აკადემიურ რესურსებს და ლიტერატურას. აღნიშნული რესურსები მოიცავს საავიაციო მენეჯმენტში უახლეს კვლევებს და მიღწევებს, რაც ხელს უწყობს როგორც აკადემიური, ისე ინდუსტრიაზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ინგლისური ენის ორიენტაცია: პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროფესიულ ინგლისურზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჰქონდეთ ეფექტური კომუნიკაცია გლობალურ საავიაციო ინდუსტრიაში.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.

"საავიაციო მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამა არის სპეციალიზებული კურსი, რომელიც მიზნად ისახავს მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესიონალებისთვის, ორიენტირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარების, კვლევის და ავიაციის მენეჯმენტის პრაქტიკული ცოდნის გაძლიერებას.
შინაარსი და სწავლის შედეგები: აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს ავიაციის მენეჯმენტში და ზოგად ბიზნეს სტრატეგიებში მოწინავე ცოდნას. სტუდენტები ერთვებიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კურსებში, რომლებშიც აქცენტი კეთდება მარკეტინგის, ადამიანური რესურსების, პროექტის მართვის და ავიაციის კანონმდებლობის თანამედროვე მიდგომებზე. პროგრამის ავიაციის სპეციფიკური მოდულების და ზოგადი მენეჯმენტის კურსების უნიკალური კომბინაცია სტუდენტებს აღჭურავს თანამედროვე საავიაციო ინდუსტრიის პრაქტიკის საფუძვლიანი ცოდნით.

კრედიტების განაწილება და სასწავლო საათები: პროგრამა შედგება 60 კრედიტისგან, განაწილებულია ორ ტრიმესტრზე, თითოეულის ხანგრძლივობაა 15 კვირა. მესამე ტრიმესტრი ეთმობა კვლევას და სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებას. სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად გულდასმით არის ჩამოყალიბებული სასწავლო საათები და დამოუკიდებელი სწავლის ბალანსი. თითოეული კურსი ფასდება პრაქტიკული სამუშაოს, სემინარების და გამოცდების მეშვეობით იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების პროგრესის ყოვლისმომცველი შეფასება.
რესურსები: პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს უახლესი აკადემიური ლიტერატურით და რესურსებით, რომლებიც ასახავენ ავიაციის მენეჯმენტში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. აღნიშნული მასალები უზრუნველყოფს, რომ პროგრამა შეესაბამება როგორც მიმდინარე აკადემიურ კვლევებს, ისე საავიაციო სექტორში არსებულ უახლეს მიღწევებს.
ინდუსტრიაში ინტეგრაცია: სტუდენტები სარგებლობენ ავიაციის მენეჯერებთან პრაქტიკული ურთიერთობით, კავშირში არიან ინდუსტრიის მიმდინარე აზროვნებასთან და იძლიერებენ ცოდნას ავიაციის მენეჯმენტის სტრატეგიების შესახებ. აღნიშნული პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის და თეორიული ცოდნის გამოყენებისთვის.

სტანდარტთან შესაბამისობა:

სწავლის შედეგების შესაბამისობა: სამივე პროგრამა უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალური სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო მიზნებს და განათლების დონეს. კურსები შექმნილია პროგრამის მიზნების მიღწევის და შესაბამისი კვალიფიკაციის დონის მოლოდინების დასაკმაყოფილებლად (ბაკალავრიატი VI, მაგისტრატურა VII).
შინაარსი და კრედიტების განაწილება: პროგრამებში დაცულია თითოეული კურსისთვის შესაბამის კრედიტების განაწილება და უზრუნველყოფილია თითოეული კურსის შინაარსის მის სწავლის შედეგებთანშესაბამისობა. საკონტაქტო საათების და დამოუკიდებელი სწავლის საათების თანაფარდობა კარგად არის დაბალანსებული, თითოეული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
შეფასება: თითოეული სწავლის შედეგი ფასდება სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის გამოცდებით, პრაქტიკული მუშაობით და სემინარებით, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები დემონსტრირებენ კურსის მასალის დაუფლებას.
რესურსები: თითოეული კურსის სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები გულდასმით არის შერჩეული სტუდენტების სწავლის მხარდასაჭერად და სფეროში უახლეს კვლევებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს, რომ პროგრამები არის თანამედროვე და შეესაბამება მიმდინარე ინდუსტრიულ პრაქტიკას.

ინდუსტრიის და კვლევის ინტეგრაცია: თითოეული პროგრამა აერთიანებს თანამედროვე კვლევის შედეგებს და რეალურ ინდუსტრიულ გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარებს, რომლებიც არის როგორც აკადემიურად მკაცრი, ისე პროფესიულად გამოყენებადი.
სამივე პროგრამა შექმნილია მკაფიო მიმართულებით, უზრუნველყოს სტუდენტები საჰაერო ტრანსპორტის და ავიაციის მენეჯმენტში ყოვლისმომცველი ცოდნით და უნარებით. ისინი ჩამოყალიბებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიიღწევა სწავლის შედეგები, სრულდება კრედიტების მოთხოვნები და სტუდენტები აღჭურვილნი არიან კომპეტენციებით, რომლებიც საჭიროა ავიაციის დინამიურ სფეროში წარმატების მისაღწევად. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინება, თანამედროვე ინდუსტრიულ ტენდენციებზე და კვლევაზე ძლიერი ორიენტაციით პროგრამებს ხდის რელევანტურს და კონკურენტუნარიანს გლობალურ საგანმანათლებლო ბაზარზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი";
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები;
- წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- პროგრამების თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაციები:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე დაშვების მოთხოვნები და პროცედურები სრულად შეესაბამება კანონმდებლობას.

საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად აპლიკანტებმა უნდა ჩააბარონ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდები. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა წარმატებით უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. პირებმა, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს საქართველოს ფარგლებს გარეთ ან "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო ორი წლის განმავლობაში, უნდა მოიპოვონ განათლების აღიარების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი უნდა გასცეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ პროგრამაზე სწავლის უფლება მობილობის ან შიდა გადასვლის გზით, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ან გადაყვანა ხორციელდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გზით. აღნიშნული პროცესი ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებას.

სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება "სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" შესაბამისად. დოკუმენტაციაში ცვლილებები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმებს წარმოადგენს ადამიანური (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებლები) და მატერიალურ - ტექნიკური რესურსები, რომელთა ნიშნულები წარმოდგენილია დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად, თითოეული ფაკულტეტის საბჭო ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობას. აღნიშნული მეთოდოლოგია არ არის აღწერილი დოკუმენტში. ვინაიდან კლასტერში წარმოდგენილი სამივე პროგრამა ახალია, ვერ მოხერხდა სტუდენტთა მიღების მეთოდოლოგიის შესაბამისობის შეფასება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს შემდეგ საგნებში:·

ქართული;
უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული);

მათემატიკა/ისტორია.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს შემდეგ საგნებში:·

- ქართული ენა;

- უცხოენა (ინგლისური) - მაქსიმალური ქულის 80%;
- მათემატიკა/ისტორია.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები) ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში მოცემულია ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ, რაც უნდა გასწორდეს.

პროგრამა 3 - საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

პირი რომელიც:

- ფლობს ბაკალავრის დიპლომს;
- აქვს მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება;
- ფლობს მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. სერტიფიკატის არ ქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას;
- წარმატებით ჩააბარა სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ვებ - გვერდი: www.ssu.edu.ge
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა პრიორიტეტი მიანიჭოს ინფორმაციის ორივე ენაზე გამოქვეყნებას ახალი პროგრამების შინაარსის, სიახლეების და მიღების მოთხოვნების შესახებ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, VI დონე.
რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, VII დონე.
რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3. საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა, სწავლის შედეგების მიხედვით, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებს კვლევით კომპონენტზე მუშაობისას ხელმძღვანელობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მაგისტრანტის ხელმძღვანელად შესაძლებელია განისაზღვროს პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, თუ მას აქვს კვლევითი გამოცდილება მაგისტრანტის ნაშრომის თემატიკის შესაბამის სფეროში. უნივერსიტეტი განმარტავს, რომ კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა, სწავლის შედეგების მიხედვით, უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას. თუმცაღა,უნდა წახალისდეს შესაბამისი მაღალი ხარისხის აქტივობები . უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა ჩაატაროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის თვისებრივი ანალიზი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შემუშავდეს წახალისების შესაბამისი ღონისძიებები, მაღალი ხარისხის კვლევების ხელშეწყობისა და სტუდენტების კვლევაში ჩართულობის გასაზრდელად, განსაკუთრებით სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისათვის. ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი აორგანიზებენ პრაქტიკის კომპონენტს. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან, და სტუდენტებს ზედამხედველობს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი კვალიფიციური პერსონალი. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები ავსებენ პრაქტიკის ჟურნალს, სადაც აღწერენ თავიანთ დავალებებს, მათ შორის პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასებებს. პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტები ამზადებენ პრაქტიკის ანგარიშს, რომელშიც დეტალურადაა ასახული შესრულებული სამუშაო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები

- აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი 2023
- მემორანდუმები დამსაქმებლებთნ
- მემორანდუმები უნივერსიტეტებთან.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების რეგულაცია
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა რეგულარულად განახორციელოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის და სტუდენტების ჩართულობის თვისებრივი ანალიზი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შესაბამისი წამახალისებელი ზომების შემუშავება მაღალი ხარისხის კვლევების და სტუდენტების კვლევაში ჩართულობის ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით კვლევის ხელმძღვანელებისთვის და სტუდენტებისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებისთვის შერჩეულია სწავლებისა და სწავლის შესაბამისი მეთოდები. ეს მეთოდები მოიცავს ლექციებს, სემინარებს, ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიას/დებატებს, შემთხვევის შესწავლას, პროექტების პრეზენტაციას, დემონსტრირების მეთოდებს, ანალიზსა და სინთეზს, განმარტებით მეთოდებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ. ეს მეთოდები თავსებადია სასწავლო კურსის შინაარსთან და

მიზნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები თავსებადია განათლების საფეხურთან, კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და დარგობრივ მახასიათებელთან, რითაც უზრუნველყოფს ამ მიზნების მიღწევას. ეს მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, აძლიერებს სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ინტერაქციას და ახალისებს მონაწილეობას შესაბამისი ავტონომიით. მეთოდები მოქნილია, რათა გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებები, რაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ ინტერესებსა და აკადემიურ მზაობაზე მორგებული პროგრამების შექმნას. უნივერსიტეტს შეუძლია სწავლების დისტანციური ფორმების შეთავაზება, რომელიც შესაბამისობაში იქნება პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

სწავლების პროცესი სათანადოდ არის დაგეგმილი, რათა დაინერგოს მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ გამოყენებას და მათთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კლასტერში შემავალი პროგრამები აჩვენებს სტუდენტთა შეფასების სანდო მეთოდებს და მთლიანობაში შეესაბამება დადგენილი სტანდარტის ზოგად მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სილაბუსების დეტალური ანალიზი აჩვენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა ტესტები, შემთხვევის შესწავლა, პრეზენტაციები, დისკუსიები, შუალედური გამოცდა, ჯგუფური პროექტები და სხვა. აღნიშნული მეთოდები შესაბამისობაშია კურსების სპეციფიკასთან და ითვალისწინებს მათ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ყოველ სილაბუსში წარმოდგენილია სხვადასხვა კურსში გამოყენებული კომპონენტების კრიტერიუმები.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შეფასება 100-ქულიან სისტემაზეა დაფუძნებული, რაც შემდეგნაირად განისაზღვრება:

ფრიადი – (A) 91-100

ძალიან კარგი - (B) 81-90

კარგი – (C) 71-80

დამაკმაყოფილებელი– (D) 61-70

საკმარისი– (E) 51-60

ვერ ჩააბარა – (FX) მაქსიმალური შეფასების 41-50%, სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

ჩაიჭრა – (F) მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

100-ქულიანი სისტემა შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

1. შუალედური შეფასება - 60 ქულა.
2. ფინალური გამოცდა - 40 ქულა.

სტუდენტმა შუალედური შეფასების საერთო ქულების მინიმუმ 35% უნდა მოაგროვოს, რათა საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება ჰქონდეს. საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად, სტუდენტმა უნდა მოიპოვოს საბოლოო გამოცდის ქულების მინიმუმ 50%. სტუდენტს

საბოლოო გამოცდის გადაბარების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ მან შეფასების ორივე საშუალების მინიმალური ზღვრები ან 41 ქულა მოაგროვა.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის პორტალი – students.av.ini.ge არის ძირითადი პლატფორმა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მათი სამუშაოსა და საერთო ქულების შესახებ. სტუდენტებს კურსების სილაბუსების შესახებ ეცნობებათ სემინარების დროსაც. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების მეთოდები არის ობიექტური და გამჭვირვალე. ისინი (როგორც ადგილობრივი, ისე აერთაშორისო სტუდენტები) რეგულარულად იღებენ უკუკავშირს ლექტორებისგან, სემინარების მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ, შესაბამისად მათ სხვა წუხილი არ გამოუხატავთ ამ საკითხთან დაკავშირებით. უკუკავშირი კონსტრუქციულია.

დოკუმენტის „გამოცდების ჩატარების პროცედურა“ მიხედვით, შუალედური, საბოლოო და დამატებითი გამოცდები ტარდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ზედამხედველობით. აღნიშნული სამსახური პასუხისმგებელია, გამოცდების განრიგი მინიმუმ 2 კვირით ადრე წარმოადგინოს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე აღწერს აპელაციის პროცესს. სტუდენტს აქვს უფლება, გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ 10 დღის ვადაში მოითხოვოს საკუთარი ნამუშევრის ნახვა და მიმართონ საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს, ნაშრმის გადახედვის თხოვნით. თუ დამატებითი პრეტენზიები წარმოიშვა, ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია სტუდენტების უფლებების დასაცავად კომისია მოიწვიოს. დეკანიანგარიშით მიმართავს რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში და კომისიის შექმნის შესახებ ოფიციალურ დასტურს ითხოვს. კომისია უნდა მოიცავდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე მინიმუმ 2 პირსა და დეკანს. გამოცდებთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები და პროცედურები აღნიშნულია იმავე დოკუმენტში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ხოლო ნაშრომის მინიმალური ჩასაბარებელი ზღვარი არის 51 ქულა. ქულები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ფრიადი – (A) 91-100

ძალიან კარგი - (B) 81-90

კარგი – (C) 71-80

დამაკმაყოფილებელი– (D) 61-70

საკმარისი– (E) 51-60

ვერ ჩააბარა – (FX) 41-50

ჩაიჭრა (F) 0 - 40.

შეფასება ხდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- ნაშრომის ვიზუალური და ტექნიკური მხარე - 10 ქულა.
- ხელმძღვანელის შეფასება - 35 ქულა.

- რეცენზენტის შეფასება - 25 ქულა.
- ნაშრომის დაცვა - 30 ქულა.

ზემოთაღნიშნული კრიტერიუმები ითვალისწინებს ნაშრომის სტრუქტურულ მახასიათებლებს, აკადემიური წერის წესებთან შესაბამისობას, ასევე ლიტერატურის მიმოხილვას, პრობლემის იდენტიფიცირებასა და მის სირთულეს, მიზნებსა და მეთოდოლოგიას, მონაცემთა შედეგების შესაბამისობას, პრობლემის გადაჭრის გადაწყვეტილების ადეკვატურობას და სხვა. თითოეული კომპონენტის მოთხოვნები მოცემულია სილაბუსში, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას.

სტუდენტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელახლა დაცვის შესაძლებლობა იმავე ან მომდევნო სემესტრში. ხელახლა დაცვის სტუდენტის მიერ გაცდენის შემთხვევაში შეფასება განისაზღვრება 0-ით. ხელახლა დაცვის დროს სტუდენტის არასათანადო შეფასების შემთხვევაში სემესტრული შეფასება იქნება F – „ჩაიჭრა“ . სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიას ქმნის რექტორი და ის უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისგან. აკადემიური სტილის მოთხოვნები მოცემულია დოკუმენტში „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი“, რომელიც თავისუფლადაა ხელმისაწვდომი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

უნივერსიტეტი აკონტროლებს პლაგიატს და გააჩნია მკაცრი რეგულაციები მის წინააღმდეგ. „ეთიკის კოდექსი“ და „სტუდენტთა გზამკვლევი“ მკაცრად კრძალავს პლაგიატის ნებისმიერ ფორმას და შეიცავს დამატებით ინფორმაციას მისი გამოვლენის შემდგომ გადასადგმელი ნაბიჯებისა და პროცედურების შესახებ. რექტორი ქმნის მუდმივმოქმედ კომისიას, რომელშიც შედიან დეკანები, პროგრამების ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. განხილვაში შეიძლება მონაწილეობდეს განცხადების ავტორი, ნაშრომის ავტორი, ხელმძღვანელი და/ან სხვა დამოუკიდებელი პირი. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, პლაგიატი გამოვლინოს დაცვამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთი ნაშრომი მაინც იქნება ატვირთული და წარმოდგენილი დაცვაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელსაც. ამ შემთხვევაში კომისიამ საკითხი უნდა განიხილოს 10 დღის ვადაში და მიიღოს გადაწყვეტილება.

კლასტერში შემავალი პროგრამები იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსების ზოგად მოთხოვნებსა და სპეციფიკას. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება შეფასების სისტემისა და ლექციებსა და სემინარებზე გამოყენებული მეთოდების მიმართ. მათ წინასწარ ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და მათთან დაკავშირებული ზოგადი მოლოდინები. ლექტორები, როგორც წესი, სილაბუსებს, შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს განიხილავენ პირველ ლექციაზე/სემინარზე. სემესტრის დასაწყისში ასევე იგზავნება სილაბუსები .

სტუდენტების შეფასების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის

დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან, უნივერსიტეტი იყენებს მექანიზმს, რომელიც აფასებს სტუდენტების ცოდნასა და მის შესაბამისობას პროგრამების შედეგებსა და მიზნებთან. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზისა, და საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული ერთჯერადი ღონისძიებების საფუძველზე. მექანიზმი მნიშვნელოვანია პრობლემების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ღონისძიებების დროულად განხორციელებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კურსების სილაბუსები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- ელექტრონული პორტალი;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გამოცდების ჩატარების წესი
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სტუდენტთა სახელმძღვანელო
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტებთან გასაუბრება;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საავიაციო მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოწოდებულ დოკუმენტაციასა და სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებზე დაყრდნობით, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ყურადღებას ამახვილებს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოზე და სტუდენტების ინტეგრირებაზე სხვადასხვა აკადემიურ აქტივობებში. უნივერსიტეტის პორტალი – student.av.ini.ge ფუნქციონირებს, როგორც სტუდენტებსა და ადმინისტრაციის წევრებს შორის კომუნიკაციის ცენტრალური საშუალება. სტუდენტებს შეუძლიათ შეამოწმონ გამოცდების შედეგები და აქტივობები, წვდომა აქვთ სხვადასხვა კურსების სილაბუსებზე.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს სტუდენტების აკადემიურ ცხოვრებაში ინტეგრირებას. ახლადჩარიცხული სტუდენტებისათვის ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც წარმოდგენილია ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა:

- სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი - მოხსენიებულია ყველა მნიშვნელოვანი დეტალი უნივერსიტეტის პორტალზე რეგისტრაციასთან,

შეფასებასთან, გამოცდების წესებთან, ეთიკის კოდექსთან, პლაგიატთან და მის წინააღმდეგ გატარებულ პროცედურებთან დაკავშირებით.

- აკადემიური კალენდარი;
- ელექტრონული პორტალის გამოყენების წესები.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები და ა.შ.

ზემოთხსენებული დოკუმენტების არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს აკადემიურ ინტეგრაციას პირველი სემესტრიდან.

სტუდენტები აქტიურად იღებენ კონსულტაციებს როგორც ლექტორებისგან, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლებისაგან. კონსულტაციები ჩვეულებრივ დაგეგმილია საკლასო სამუშაოს შემდეგ ერთი საათის განმავლობაში. უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს, როგორიცაა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას აკადემიურ პროცესებში. ფაკულტეტის დეკანი არის შუამავალი სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის პრობლემების ან გაურკვეველი სიტუაციის შემთხვევაში. გარდა მხარდაჭერის ზემოთხსენებული სერვისებისა, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა კონსულტირებას მათ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენეჯერის პოზიციას, რომელიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეხმარება ზემოაღნიშნულ ასპექტებში. მენეჯერის როლები მოიცავს უნივერსიტეტის პარტნიორებთან კომუნიკაციის შენარჩუნებას, სტუდენტების დახმარებას დასაქმებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაში; მსგავსი უნარების გამომუშავებისთვის სხვადასხვა ტრენინგ-ღონისძიებისა და ვორქშოფების ორგანიზებას; მათ ინფორმირებას ვაკანსიების, სტაჟირების შესახებ და ა.შ. პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზებას; გასაუბრების დროს სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი რეგულარულად ღებენ ინფორმაციას ვაკანსიების, სტაჟირებების, კონფერენციების, პროექტების შესახებ, რომელთაც ისინი ძირითადად იღებენ საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის საშუალებით. საერთაშორისო სტუდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს პროფესორ- მასწავლებლების ჩართულობასა და დახმარებას პროფესიულ/აკადემიურ განვითარებაში, უნივერსიტეტის მზაობას მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებისათვის, კითხვების არსებობის შეთხვევაში.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მემორანდუმები სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტებთან, როგორიცაა GeoSky, TCA და ა.შ. უზრუნველყოფს წარმატებული სტუდენტების ჩართულობას. ადგილზე ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების/კურსდამთავრებულების მოტივაციასა და კომპეტენციას. გარდა ამისა, მემორანდუმები სხვა უნივერსიტეტებთან ხაზს უსვამს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მზადყოფნას საგანმანათლებლო ინიციატივებისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა სტიპენდიების შესახებ მოწოდებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, დაწესებულება აძლიერებს მხარდაჭერასა და ჩართულობას სტუდენტების

პროფესიულ განვითარებაში. ინფორმაცია კონფერენციების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც. უნივერსიტეტმა უმასპინძლა ღია საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას 2024, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები, პარტნიორი უნივერსიტეტების ახალგაზრდა მკვლევარებთან და მეცნიერებთან ერთად.

სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხვადასხვა აქტივობების, კონფერენციების შესახებ მათი საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მათ განაცხადეს, რომ რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ აქტივობებზე, სხვა უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ კონკურსებზე, კონფერენციებზე. გარდა ამისა, საერთაშორისო სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ისინი იღებენ ინფორმაციას სტაჟირებების შესახებ. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა კლუბებშიც. გასაუბრებაზე დამსწრე ერთ-ერთმა სტუდენტმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის ჩართულობასა და მხარდაჭერას მათი კლუბის ჩამოყალიბებაში. საერთაშორისო სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და მათ მიერ წამოყენებული რჩევების გათვალისწინებით, გაუმჯობესებისათვის, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, დაინერგოს სხვადასხვა აქტივობები, რომელიც გააუმჯობესებს პროფესიულ ქსელებთან თანამშრომლობას, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებისთვის, წაახალისებს მათ ჩართულობას სტუდენტურ თვითმმართველობაში, უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მექანიზმების არსებობის შესახებ და მათ ინტეგრაციას აკადემიურ ცხოვრებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებგვერდი- https://ssu.edu.ge/for-students/
- სტუდენტის სახელმძღვანელო
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რეგულაციები
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.
- თვითშეფასების ანგარიში.
- ადგილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტები.
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ძალისხმევა მიმართოს საერთაშორისო სტუდენტების სხვა სოციალურ აქტივობებში ჩასართავად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები				
პროგრამა 1 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საავიაციო მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოცემული კლასტერი მოიცავს მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამას - საავიაციო მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი). საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები რეგულარულ კონსულტაციებს უტარებენ სტუდენტებს. დოკუმენტის „საქართველოს საავიაციოს უნივერსიტეტი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი“ მიხედვით, ნაშრომის ხელმძღვანელი მართავს ყოველკვირეულ ინდივიდუალურ კონსულტაციებს, სადაც განიხილავენ კვლევასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სტუდენტების აქტივობების მუდმივი მონიტორინგი, რეკომენდაციების, რჩევებისა და ინსტრუქციების დროული გაცემა, განაპირობებს სრულყოფილი ნაშრომის შექმნას. სამაგისტრო ნაშრომების შეფასების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სილაბუსს, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, რომელთა არჩევაც შეუძლიათ. თითოეულ ხელმძღვანელზე სტუდენტთა რაოდენობა და სამაგისტრო ნაშრომების თემები განისაზღვრება და მტკიცება რექტორის მიერ. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა ძირითადი მოთხოვნები. რეგულაციების („საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი“) მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის

ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სტუდენტის მიერ არჩეულ თემაზე; გაითვალისწინოს სტუდენტის მიზნები და შესაძლებლობები და დაეხმაროს კვლევის მიზნების, მასშტაბის, მეთოდოლოგიის, გეგმისა და სხვა საკითხების განსაზღვრაში; დროულად მიაწოდოს უკუკავშირი და აკონტროლოს კვლევის განვითარება გეგმის/სტრუქტურის შესაბამისად; აკონტროლოს პლაგიატი და შეახსენოს ამის შესახებ სტუდენტს; ჰქონდეს კავშირი ფაკულტეტთან და იმ კომპანიის წარმომადგენლებთან, სადაც მისი სტუდენტები ატარებენ კვლევას, და პერიოდულად შეამოწმოს მათი საქმიანობა; გაუწიოს კონსულტაცია ნაშრომის სტრუქტურის შესახებ; გაითვალისწინოს სტუდენტების საჭიროებები/სურვილები კონსულტაციის დროის განსაზღვრისას და ა.შ. ადგილზე ვიზიტის დროს, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულმა ხაზი გაუსვა ხელმძღვანელის ჩართულობას კვლევით პროცესში და მის როლს ნაშრომის კონსტრუირებაში. ხელმძღვანელთა კვლევითი ინტერესები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რათა მათ თავისუფლად აირჩიონ ხელმძღვანელები, საკუთარი ინტერესებისა და ხელმძღვანელების ნაშრომების/სფეროების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონიტორინგს უწევს ხელმძღვანელების საქმიანობას მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის რეგულარული კითხვარების გაგზავნით . კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათ მიიღეს კითხვები. კითხვარები მოიცავს შეკითხვებს ლექტორის კომუნიკაციის უნარებზე, უკუკავშირის თანმიმდევრულობაზე, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობაზე, მათ ობიექტურობასა და სხვა საკითხებზე.

სასურველია აღინიშნოს, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესების შესახებ, მათ შორის ნაშრომის სტრუქტურისა და ციტირების სტილის (APA) შესახებ მაგალითების მიწოდებით. სამაგისტრო ნაშრომის (მათ შორის ხელმძღვანელობის კომპონენტის) შეფასება მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

„სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, ნაშრომების ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/5-ს. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გეგმავს განახლებული პროგრამის დანერგვას, ხელმძღვანელებისა და სტუდენტების თანაფარდობა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში, ეფუძნება წინა ნაკადებს და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგებს. უნივერსიტეტი ელოდება 5 ახალ სტუდენტს ყოველწლიურად.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები **პროგრამა 3 - საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, ინგლისურენოვანი.**	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	8
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	5
დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1,6
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დამატებითი დოკუმენტაცია - სამაგისტრო ნაშრომის კითხვები;
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საავიაციო მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საავიაციო მენეჯმენტი)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი, რომლიც კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, შედგება მაღალკვალიფიციური

აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, რომელთაც აქვთ ვრცელი სამუშაო, სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება შესაბამის სფეროში. ამას ადასტურებს როგორც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები, წიგნები და მონოგრაფიები, ისე მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში, რომელთა ნაწილიც საზღვარგარეთ ჩატარდა. პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის მყარ საფუძველს პროგრამის მიზნების მიღწევისთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისამდე ამზადებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის განრიგს. აღნიშნული განრიგი ასახავს თითოეული სემესტრის ჯამურ დატვირთვას საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური დატვირთვის წესის შესაბამისად. ეს წესი განსაზღვრავს პერსონალის მაქსიმალურ დატვირთვას და საათობრივი დატვირთვის განაწილებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სასწავლო და კვლევითი საქმიანობის გარდა, აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამების შექმნასა და განვითარებაში, კონსულტირებასა და სტუდენტთა მხარდაჭერაში. აღნიშნული ჩართულობა რეგულირდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური დატვირთვის წესით. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესები განსაზღვრავენ ღია კონკურსების პრინციპებს, პროცედურებსა და ვადებს, რაც უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევასა და ვაკანტური თანამდებობების შევსებას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა განახლდება ყოველ სემესტრში. აღნიშნული სქემა მოიცავს სასწავლო, კვლევით და სხვა დატვირთვას პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. სქემა უზრუნველყოფს, რომ პერსონალს ჰქონდეს მართვადი დატვირთვა ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ისინი საქმიანობენ. სრული დატვირთვა, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციის საათები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებასა და დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულებას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობისთვის ადეკვატურია. ეს ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების დატვირთვას. პერსონალის გადინება მონიტორინგდება და მისი შედეგები გამოიყენება პროგრამის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (180 კრედიტი, ქართულენოვანი, VI-საფეხური)

პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 16 მოწვეული სპეციალისტი. ამ 34 მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული გუნდის კომპეტენცია დადასტურებულია სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებით, მათ შორის სტატიებით, წიგნებითა და მონოგრაფიებით, რომლებიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ასევე მონაწილეობით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პერსონალს გააჩნია აუცილებელი ექსპერტიზა, რათა დაეხმაროს სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ როლს, მოვალეობებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (180 კრედიტი, ქართულენოვანი, VI-საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
1. სულ აკადემიური პერსონალი	34	31	6	11
2. - პროფესორი	7	7	7	2
3. - ასოცირებული პროფესორი	11	11	8	9
4. - ასისტენტ–პროფესორი				
5. - ასისტენტი				
6. მოწვეული პერსონალი	16	16	3	
7. სამეცნიერო პერსონალი				

პერსონალის დატვირთვა და პროგრამის მდგრადობა: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა შეადგენს 1.13. სემესტრულად განახლებული დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს თითოეული პროფესორ-მასწავლებლის სასწავლო, კვლევითი და სხვა ტიპის პასუხისმგებლობების სწორად განაწილებას. აღნიშნული მოიცავს სტუდენტების კონსულტირებისათვის გამოყოფილ დროს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სრულყოფილ მხარდაჭერას. პროგრამა გეგმავს 2024 წლის გაზაფხულის ბოლოს აკადემიური

პერსონალის გაზრდას 3 თანამშრომლით (1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი) პროგრამის მდგრადობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია: პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი, სპეციალიზაციით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში. მისი ვრცელი გამოცდილება სხვადასხვა პოზიციებზე სამოქალაქო ავიაციაში, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე მისი ჩართულობა პროგრამის შეფასებაში, განვითარებასა და სტუდენტთა კონსულტირებაში, უზრუნველყოფს მის სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას ამ როლის შესასრულებლად. მისი კვალიფიკაცია მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე აკადემიურ ექსპერტიზას, რაც დადასტურებულია შესაბამისი ტრენინგებითა და სერტიფიკატებით.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: პროგრამის სტუდენტებს მხარს უჭერს საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს. ეს მხარდამჭერი ქსელი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და სტუდენტებისთვის საჭირო დახმარების გაწევას.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტი, VI საფეხური)

პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია: საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 5 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი და 14 მოწვეული სპეციალისტი. ეს გუნდი გამოირჩევა ძლიერი საერთაშორისო ჩართულობით, რაც ეხმარება სტუდენტებს სამოქალაქო ავიაციის თანამედროვე მიღწევების გაცნობასა და შესაბამისი უნარების განვითარებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია ბოლოდროინდელი სამეცნიერო კონტრიბუციებით და პროფესიული განვითარების აქტივობებში აქტიური მონაწილეობით.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 180 კრედიტი, VI საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
1. სულ აკადემიური პერსონალი	31	31	24	9

2.	- პროფესორი	5	5	5	2
3.	- ასოცირებული პროფესორი	11	11	8	7
4.	- ასისტენტ–პროფესორი				
5.	- ასისტენტი				
6.	მოწვეული პერსონალი	14	14	11	
7.	სამეცნიერო პერსონალი				

პერსონალის დატვირთვა და პროგრამის მდგრადობა: პერსონალის დატვირთვა და პროგრამის მდგრადობა:

პერსონალის თანაფარდობით -1.21, პროგრამა მდგრადია და სათანადოდ მხარდაჭერილია. სემესტრულად განახლებული დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს თითოეული პროფესორ-მასწავლებლის სასწავლო, კვლევითი და სხვა ტიპის პასუხისმგებლობების სათანადოდ დაბალანსებას. 2024 წლის გაზაფხულის ბოლოს აკადემიური პერსონალის 3 თანამშრომლით (1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი) გაზრდის გეგმა, კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს პროგრამის სიმტკიცეს.

პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია: ასოცირებული პროფესორი, რომელიც ამ პროგრამასაც ხელმძღვანელობს, გამოირჩევა სამოქალაქო ავიაციის სფეროში ვრცელი ექსპერტიზითა და პრაქტიკული გამოცდილებით. მისი უწყვეტი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და სხვადასხვა აქტივობებში უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მაღალ ხარისხს.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: პროგრამას მხარს უჭერს საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ როლებს. ეს უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო ადმინისტრაციული და აკადემიური მხარდაჭერის მიწოდებას, რაც მათ წარმატებულ სწავლებას უწყობს ხელს.

საავიაციო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 60 კრედიტი, VII საფეხური)

პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია: საავიაციო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი და 1 მოწვეული სპეციალისტი. ეს გუნდი, თანაფარდობით -8:1, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და სტუდენტებისთვის თანამედროვე მიღწევების გაცნობას საავიაციო მენეჯმენტის სფეროში. პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო პუბლიკაციებითა და საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობით.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი, 60 კრედიტი, VII საფეხური)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
1. სულ აკადემიური პერსონალი	9	9	7	5
2. - პროფესორი	2	2	2	2
3. - ასოცირებული პროფესორი	6	6	5	3
4. - ასისტენტ–პროფესორი				
5. - ასისტენტი				
6. მოწვეული პერსონალი	1	1		
7. სამეცნიერო პერსონალი				

პერსონალის დატვირთვა და პროგრამის მდგრადობა: სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს, რომ პერსონალის აკადემიური და კვლევითი მოვალეობები სათანადოდ იყოს დაბალანსებული. აღნიშნული მოიცავს სტუდენტების კონსულტაციისთვის გამოყოფილ საათებს. 2024 წლის გაზაფხულის ბოლოსთვის აკადემიური პერსონალის გაზრდა 1 თანამშრომლით (მოწვეული სპეციალისტის სტატუსის შეცვლის გზით) პროგრამის მდგრადობას კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს.

პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია: პროგრამას ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია ვრცელი ექსპერტიზა ავიაციის მენეჯმენტში. მისი ჩართულობა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, ასევე მისი ფართო პროფესიული გამოცდილება, უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან მართვასა და უწყვეტ გაუმჯობესებას.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: მაგისტრანტებს მხარდაჭერას უწევს კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ როლებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო რესურსებისა და მხარდაჭერის მიწოდებას.

დასკვნა:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა შექმნა ადამიანური რესურსების ძლიერი ჩარჩო საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის და საავიაციო მენეჯმენტის პროგრამებისათვის. პროგრამების კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გამოცდილ ხელმძღვანელთან ერთად, გამოირჩევა პროგრამის სფეროში მუშაობის ვრცელი პრაქტიკული გამოცდილებით. თუმცა, სასურველია, რომ სამაგისტრო პროგრამას ასევე ჰყავდეს შესაბამის სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე თანახელმძღვანელი, რომელმაც უკეთ შეიძლება მხარი დაუჭიროს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო მიმართულებით განვითარებას.
დატვირთვის სტრუქტურირებული სქემები და საკმარისი ადმინისტრაციული მხარდაჭერა კიდევ უფრო ზრდის პროგრამების ეფექტურობასა და სტუდენტთა გამოცდილებას.
პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს მხარს უჭერს შესაბამისი კომპეტენციების მქონე საკმარისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა სწავლის განმავლობაში მიიღონ საჭირო მხარდაჭერა.
საერთო ჯამში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებს მხარს უჭერს აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან შემდგარი კვალიფიციური და გამოცდილი გუნდი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევასა და საგანმანათლებლო სერვისების მდგრად მიწოდებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამები და სილაბუსები.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები.
- აფილირების წესი
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი
- აკადემიური დატვირთვის წესები.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- გასაუბრება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალი კვალიფიციურია და პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი ხელმძღვანელი, ძლიერი პრაქტიული გამოცდილებით სფეროში, რომელიც მუშაობს პროგრამის განვითარებაზე. თუმცა, სასურველია, სამაგისტრო პროგრამას ჰყავდეს სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე თანახელმძღვანელი, რომელმაც უკეთ შეიძლება შეძლოს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო მიმართულებით განვითარება.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ხელმძღვანელები შეირჩევიან მათი კვლევითი გამოცდილებისა და შესაბამის დარგებში გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ნაშრომების თემებთან შესაბამისობას. სამეცნიერო ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ პროფესორები, ასოცირებული პროფესორები ან მოწვეული ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან პროგრამაში და გამოავლინეს კვლევითი კომპეტენცია რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებით ან საავიაციო მენეჯმენტის სფეროში მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს დიდი გამოცდილება აქვთ სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციებში მუშაობის მიმართულებით და მონაწილეობა აქვთ მიღებული აქვთ მრავალ სამეცნიერო-კვლევით პროექტსა და საერთაშორისო კონფერენციაში. მათი კვალიფიკაცია კარგად არის დოკუმენტირებული პროფესიული აქტივობებითა და დარგში შეტანილი წვლილით. უსდ-ს გააჩნია მკაფიო და გამჭვირვალე საკვალიფიკაციო

მოთხოვნები სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს. ეს მოთხოვნები დოკუმენტირებულია და ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ხელმძღვანელი აკმაყოფილებს სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი ხელმძღვანელობისთვის განსაზღვრულ მაღალ სტანდარტებს. ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ან მნიშვნელოვანი პროფესიული მიღწევები, რაც ადასტურებს მათი აქტუალურ ცოდნასა და ჩართულობას სფეროში. აღნიშნული უზრუნველყოფს, სტუდენტებისთვის რელევანტური და თანამედროვე გზამკვლევობის გაწევას. ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ აქტიური მონაწილეობა მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში და უახლესი მიღწევების გაცნობა თავიანთ სფეროში. ამგვარი ჩართულობა მნიშვნელოვანია ხარისხიანი ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ სტუდენტების კვლევები დაეფუძნოს თანამედროვე დარგობრივ პრაქტიკებსა და აკადემიურ სტანდარტებს. უნივერსიტეტი მხარს უჭერს ხელმძღვანელებს პროფესიული განვითარებაში, საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა და თანამშრომლობით კვლევით პროექტებში მონაწილეობის საშუალებით. ეს უწყვეტი პროფესიული განვითარება უზრუნველყოფს, რომ ხელმძღვანელებმა შეინარჩუნონ თავიანთი ექსპერტიზა და ეფექტურად უხელმძღვანელონ სტუდენტებს. ხელმძღვანელების კვალიფიკაცია და კვლევითი საქმიანობა კარგად არის დოკუმენტირებული მათ პირად საქმეებში, რომელშიც შედის ჩანაწერები მათი პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა პროფესიული საქმიანობების შესახებ. ეს დოკუმენტაცია პერიოდულად მოწმდება უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ხელმძღვანელების მონაწილეობა პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესებში კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს იმას, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობის შენარჩუნებაში.

აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვს სფეროში, რადგან საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს მჭიდრო ურთიერთობები აქვს დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით საავიაციო კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მაგისტრანტებისთვის კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ეს ფაქტორი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის უნიკალურობას ბაზარზე.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესის მიხედვით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ნაშრომის თანახელმძღვანელები გათვალისწინებულები არ არიან, თუმცა უნივერსიტეტში თითოეული სტუდენტისთვის იქმნება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია (შეიძლება შეიქმნას ერთობლივად ან ცალ-ცალკე) რექტორის გადაწყვეტილებით ფორმირდება, ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ნაშრომის ხელმძღვანელი (ხმის უფლებით), ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და

შესაბამისი დარგის მინიმუმ 2 სპეციალისტი. რექტორის გადაწყვეტილებით, ხმის უფლებით შეიძლება მოიწვიონ პოტენციური დამსაქმებლებიც, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. ეს კარგი პრაქტიკაა, განსაკუთრებით აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამებში, სადაც დაცვის კომისიაში დამსაქმებლების ჩართულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე, სასურველია, უნივერსიტეტმა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესში განსაზღვროს მოთხოვნები თანახელმძღვანელებისათვის.

პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)[5]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	8	8	3
- პროფესორი	2	2	1
- ასოცირებული პროფესორი	6	6	2
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამები და სილაბუსები.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- გასაუბრება

[5] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: .

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესში უნივერსიტეტმა განსაზღვროს მოთხოვნები ნაშრომების თანახელმძღვანელებისათვისაც.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა დანერგა შეფასების სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი პროცესი პროგრამების პერსონალისათვის, რომლის მიზანიცაა მათი პროფესიული შესაძლებლობების შეფასება და გაუმჯობესება. აღნიშნული პროცესი რეგულირდება "ატესტაციის წესით," რომელიც შემუშავებულია საქართველოს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონთან შესაბამისობაში. შეფასების პროცესი მოიცავს პერსონალის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციისა და პოზიციასთან შესაბამისობის პერიოდულ შემოწმებას.

შეფასების პროცესის ძირითადი ელემენტებია:

- პერიოდული შემოწმებები: პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიული საქმიანობის რეგულარული შემოწმება, უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- შეფასების კრიტერიუმები: შეფასება მოიცავს სწავლების ეფექტურობას, კვლევით საქმიანობასა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების შესრულებას.
- საქმიანობის დონეების განსაზღვრა: პერსონალი სამეცნიერო საქმიანობის მიხედვით განისაზღვრება როგორც მაღალი, საშუალო და დაბალი აქტივობის მქონე. აღნიშნული კატეგორიზაცია თითოეული თანამშრომლისთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

შეფასების შედეგები და შემდგომი ქმედებებია:

- რეკომენდაციები გაუმჯობესებისათვის: საშუალო აქტივობის მქონე პერსონალისთვის გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.
- პროფესიული განვითარების გეგმები: იდენტიფიცირებული სისუსტეების გამოსასწორებლად და უწყვეტი განვითარების ხელშესაწყობად დგინდება განვითარების გეგმები.
- სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ფინანსურ და ლოგისტიკურ მხარდაჭერას, კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისათვის.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. დაწესებულება მხარს უჭერს სხვადასხვა აქტივობას, რომელთა მიზანია პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესება. მხარდაჭერის მექანიზმები საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შემდეგია:

- ფინანსური მხარდაჭერა: უნივერსიტეტი აფინანსებს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, ტრენინგებში, საქმიან მივლინებებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობას.
- თემატური კონფერენციები: რეგულარულად ტარდება კონფერენციები, სადაც აკადემიური პერსონალი წარადგენს საკუთარ კვლევით შედეგებს. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს უწყვეტი სწავლისა და ცოდნის გაზიარების კულტურის ჩამოყალიბებას.
- საერთაშორისო თანამშრომლობა: საერთაშორისო უნივერსიტეტებთან პარტნიორობა პერსონალს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს გლობალურ აკადემიურ და კვლევით აქტივობებში. მაგალითად, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების უნივერსიტეტის მსგავს ინსტიტუციებთან ხელშეკრულებების საფუძველზე, აკადემიურ პერსონალს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მათ საგანმანათლებლო პროცესებში და გააუმჯობესოს საკუთარი კვალიფიკაცია.

- პუბლიკაციების მხარდაჭერა: უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის ავტორობით შემუშავებული საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოქვეყნებას. აღსანიშნავია ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „ოპერაციების მენეჯმენტი წარმოებაში“ და „პროექტების მენეჯმენტი,“ რომლებიც ფაკულტეტის საბჭოს დადებითი შეფასების შემდეგ შესაბამის სილაბუსებში ინკორპორირდა.
- ტრენინგ პროგრამები: პერსონალი წახალისებულია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებში, რომლებიც მათი პროფესიული როლებისა და აკადემიური ინტერესების შესაბამისია.
- კვლევითი პროექტები: პერსონალს შესაძლებლობა აქვს, უხელმძღვანელოს ან მონაწილეობა მიიღოს კვლევით პროექტებში, რაც ხელს უწყობს აკადემიური კვლევისა და ინოვაციების გარემოს ჩამოყალიბებას.
- ვორქშოფები და სემინარები: რეგულარულად ტარდება ვორქშოფები და სემინარები, რომლებიც პერსონალს აწვდის ინფორმაციას მათ სფეროში უახლესი ტენდენციების შესახებ და ავითარებს მათ სწავლებისა და კვლევის უნარებს.
- დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უსდ-ს გააჩნია:
- შეფასების კომპლექსური სისტემა: შეფასების სტრუქტურირებული პროცესი უზრუნველყოფს პერსონალის რეგულარულ შეფასებას და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.
- კვლევითი საქმიანობის ძლიერი მხარდაჭერა: სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფინანსური და ლოგისტიკური მხარდაჭერა პერსონალს ხელს უწყობს მაღალი ხარისხის აკადემიური საქმიანობის განხორციელებაში.
- საერთაშორისო თანამშრომლობა: საერთაშორისო ინსტიტუციებთან პარტნიორობა აძლიერებს პერსონალის გლობალურ პერსპექტივასა და კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამები და სილაბუსები.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები.
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი
- აკადემიური დატვირთვის წესები.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აფილირების წესი
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა; პერსონალის მართვისა და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები და პოლიტიკები.

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა: პერსონალის საერთაშორისო კოლაბორაციის განვითარების სტრატეგიები
- პერსონალის შეფასების პროცედურა. პერსონალის საქმიანობისა და განვითარების საჭიროებების შეფასების დეტალური პროცედურა.
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დანიშვნისა და პასუხისმგებლობების რეგულაციები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები კვალიფიკაციების, შეფასებისა და პროფესიული განვითარების აქტივობების დოკუმენტაცია.
- გასაუბრება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები მხარდაჭერილია ძლიერი ინფრასტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტს საკუთრებაში აქვს შენობები, რომლებიც შეესაბამება ტექნიკურ და უსაფრთხოების სტანდარტებს, მათ შორის, აღჭურვილია სიგნალიზაციით, ცეცხლმაქრებით და ვიდეო-კონტროლით. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორიცაა პროექტორები და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც 2024 წელს განახლდა ახალი ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით.

უნივერსიტეტის ბიბილიოთეკა მოიცავს თანამედროვე სასწავლო მასალებს, სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ სახელმძღვანელოებსა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებზე წვდომას. საბიბლიოთეკო რესურსებში შედის ისეთი საერთაშორისო მონაცემთა ბაზების

გამოწერები, როგორიცაა Scopus, ScienceDirect, Web of Science და Elsevier, რაც სტუდენტებს სთავაზობს უახლესი სამეცნიერო კვლევებისა და პერიოდული გამოცემების ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული რესურსები განსაკუთრებით აღსანიშნავია. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შეთანხმებები წამყვან საავიაციო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა TAV Georgia და Geo Handling, რაც სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობას აძლევს რეალურ სამუშაო გარემოში, რითაც ისინი საჭირო უნარ-ჩვევებს შეიძენენ. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან და პრაქტიკული პერიოდის განმავლობაში სტუდენტებს უზრუნველყოფენ კვების ვაუჩერებითა და სპეციალური უნიფორმებით. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაკალავრო და აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამებისთვის.

უნივერსიტეტი რეგულარულად ანახლებს საბიბლიოთეკო, სასწავლო და ციფრულ რესურსებს, რათა შეუსაბამოს თანამედროვე აკადემიურ და ინდუსტრიულ სტანდარტებს. 2024 წელს კომპიუტერული ლაბორატორიების განახლება და ახალი ლიტერატურისა და მონაცემთა ბაზების უწყვეტი დამატება ნათლად გამოხატავს უნივერსიტეტის მზადყოფნას, უზრუნველყოს უახლესი რესურსები.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან, სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ბიბლიოთეკას პერიოდულად ემატება ახალი პუბლიკაციები და რესურსები, რაც უზრუნველყოფს მასალების თანამედროვე მიღწევებთან შესაბამისობას.

ბიბლიოთეკა მოიცავს სილაბუსებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასა და დამატებით სასწავლო მასალებს. ეს მოცულობითი კოლექცია უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ყველა საჭირო რესურსზე წვდომა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმეს პროგრამის სილაბუსებში მითითებული წიგნების ხელმისაწვდომობა და ყველა მასალა ადგილზე აღმოჩნდა.

უსდ-ს ბიბლიოთეკის კატალოგი მოიცავს ძირითად სახელმძღვანელოებსა და დამატებით მასალებს, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატებში . უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული მუდმივი განახლება და შენაძენები უზრუნველყოფს, რომ კოლექცია იყოს შესაბამისი და სრულყოფილი.

სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე. ეს ხელმისაწვდომობა მხარს უჭერს მათ აკადემიურ კვლევებს და ეხმარება მათ სფეროში უახლეს მიღწევებზე

ინფორმაციის მიღებაში. სტუდენტებს აქვთ წვდომა, ისეთ პლატფორმებზე როგორებიცაა Scopus, ScienceDirect და Web of Science, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, რეცენზირებულ კვლევებზე დაფუძნებული მასალების გამოყენებას სწავლის პროცესში.

მასალები, ლაბორატორიული და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე პერსონალისათვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ეს რესურსები იყოს ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გამოსაყენებლად.

რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა მომხმარებელს ჰქონდეს მათზე წვდომა საჭიროებისამებრ. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. სტუდენტებს ეცნობებათ, თუ როგორ გამოიყენონ ეს რესურსები ეფექტურად. უნივერსიტეტი ატარებს საორიენტაციო სესიებს და უზრუნველყოფს უწყვეტ მხარდაჭერას, რათა სტუდენტებმა სრულად შეძლონ ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენება. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ხელმისაწვდომ რესურსებზე საორიენტაციო პერიოდში და ასევე რეგულარული განახლებების საშუალებით. მონაცემთა ციფრული ბაზებისა და სხვა რესურსების გამოყენებაზე ტარდება ტრენინგ-სესიები, რათა სტუდენტებმა შეძლონ მათი ეფექტური გამოყენება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის პირისპირ და დისტანციური სწავლების მეთოდებს, რაც საშუალებას აძლევს როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს, აქტიურად ჩაერთონ ონლაინ განათლების პროცესში.

ელექტრონული სწავლის მხარდაჭერა: უნივერსიტეტის სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს აკადემიურ რეგისტრაციას, სილაბუსებზე წვდომასა და აკადემიური პროგრესის მონიტორინგის პროცესებს. პერსონალი და სტუდენტები იღებენ მხარდაჭერასა და ტრენინგს ელექტრონული სწავლის ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებაზე, რაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მარტივ გადასვლას ონლაინ სწავლა-სწავლების პროცესზე.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და საინფორმაციო ინვენტარით, მისი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერად. რესურსების უწყვეტი განახლება, ბიბლიოთეკის სრულყოფილი კოლექციები და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ აკადემიური წარმატების მისაღწევად საჭირო ყველა ინსტრუმენტი. უნივერსიტეტის მზადყოფნა, უზრუნველყოს თანამედროვე და ხელმისაწვდომი რესურსები, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ხელსაყრელ გარემოს ქმნის სწავლებისა და კვლევისათვის.

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

და

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება აუდიტორიებში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უზრუნველყოფს სალექციო მასალების ვიზუალურად პრეზენტირებას. სასწავლო კურსებთან დაკავშირებული წიგნების კოლექცია განახლებულია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. 2024 წელს კომპიუტერული ლაბორატორიები განახლდა და აღიჭურვა თანამედროვე კომპიუტერებითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტების უნარ-ჩვევებს, ეფექტურად განივითარონ აუცილებელი კომპეტენციები. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული რესურსები სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას აძლევს, რითაც უნარების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებას უწყობს ხელს.

პრაქტიკული სწავლება მოიცავს პარტნიორი ორგანიზაციების თანამედროვე რესურსების გამოყენებას. მაგალითად, TAV Georgia სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკულ სწავლებას საერთაშორისო აეროპორტებში, რაც ხელს უწყობს მათი უნარებისა და ცოდნის განვითარებას მგზავრების მომსახურების სფეროში. "Lasare"-ს სასაწყობო ტერმინალი უზრუნველყოფს პრაქტიკულ გამოცდილებას საბარგო მომსახურებაში, ხოლო სახმელეთო მომსახურების კომპანია Geo Handling ხელს უწყობს სახმელეთო ოპერაციების მიმართულებით სტუდენტების ექსპერტიზის განვითარებას, ტრენინგ-სესიების საშუალებით.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აუდიტორიებში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც სალექციო მასალების ვიზუალურ პრეზენტირებას უზრუნველყოფს. სასწავლო კურსების მხარდამჭერი წიგნების კოლექცია განახლებულია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული რესურსები სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობას აძლევს, განავითარონ უნარები და გაიღრმავონ ცოდნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ელექტრონული ბაზები და რესურსები https://ssu.edu.ge/library/ ;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი https://www.igar10.byethost4.com/kmed/opac/index.php ;
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- მემორანდუმები და შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამები და სილაბუსები.
- გასაუბრება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/.

○

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ბიუჯეტი კარგად არის ფორმულირებული, თვითკმარია და ხელს უწყობს დარგის

განვითარებას. თითოეულ პროგრამას აქვს შემოსავალი სწავლის საფასურიდან და კომერციული აქტივობებიდან.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტის განაწილება ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამების საჭიროებებს. ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას ფინანსების ფრთხილი დაგეგმვისა და რესურსების ეფექტური განაწილების გზით. ეს მოიცავს როგორც მუდმივ, ისე ერთჯერად ფინანსურ წყაროებს, რათა პროგრამებმა ეფექტურად იფუნქციონირონ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური მხარდაჭერის წყაროებზე. ეს წყაროები მოიცავს როგორც მუდმივ (მაგალითად, რეგულარული სწავლის გადასახადები და სახელმწიფო დაფინანსება), ისე ერთჯერად (გრანტები, დონაციები და სპეციალური საპროექტო დაფინანსება) სახსრებს. ამგვარი კომპლექსური ფინანსური დაგეგმვა უზრუნველყოფს პროგრამებისთვის რესურსების სტაბილურ ნაკადს, რომელიც მხარს უჭერს ყველა საჭირო აქტივობასა და ინფრასტრუქტურას.

სამუშაო დატვირთვა და ანაზღაურება: ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესაბამის რესურსებს, რათა სასწავლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები დაბალანსდეს და სათანადოდ დაკომპენსირდეს.

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

პროგრამის შემოსავალი: 400 000 ლარი

პროგრამის ხარჯი: 300 600 ლარი

პროგრამის ნაშთი/მოგება: 99 400 ლარი;

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

პროგრამის შემოსავალი: 554 000 ლარი

პროგრამის ხარჯი: 416 200 ლარი

პროგრამის ნაშთი/მოგება: 137 800 ლარი

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

პროგრამის შემოსავალი: 86 000 ლარი;

პროგრამის ხარჯი: 78 870 ლარი;

პროგრამის ნაშთი/მოგება: 7 130 ლარი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შეფასების შედეგად ექსპერტებმა მიიღეს საკმარისი გარანტია, რომ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში,
- პროგრამები და სილაბუსები.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები
- გასაუბრება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://ssu.edu.ge/.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	X	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	X	☐	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალი ხარისხის შეფასების შედეგებს ეფექტურად იყენებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობები, მათ შორის პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები, დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსა და პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას, როგორებიცაა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობების ორგანიზება, განხორციელება და მართვა; საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეები; და ამ საქმიანობების მხარდამჭერი რესურსები (ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ა.შ.).

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს აღნიშნულ კომპონენტებს შესაბამისი პერიოდულობით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები დაფუძნებულია "PDCA" ციკლზე (დაგეგმე- განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე), რაც უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებას.

ამ ციკლის ინტეგრირებას ხელს უწყობს ყველა შესაბამისი ერთეულის აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში. ჩატარებული კვლევები საფუძვლიანად არის გაანალიზებული, ხოლო შედეგები, საჭირო რეაგირებასთან ერთად, აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ ანგარიშებში, რომლებიც წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

პროგრამის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება ეფუძნება სტუდენტთა კმაყოფილებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევების შედეგებს, რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ გაუმჯობესებას. სტუდენტები აფიქსირებენ უკუკავშირს აკადემიური კურსებისა და საგნების შესახებ, თითოეული კურსის/საგნის დასრულების შემდეგ, კითხვარების ან შეფასების სხვა მეთოდების მეშვეობით. აღნიშნული უკუკავშირი გამოიყენება კურსების/საგნების ხარისხის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან პროგრამის ხარისხის შეფასებების დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების პროცესის განხორციელებაში.

გარდა ამისა, გასაუბრებებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს კვლევების შედეგებს და საჭიროებისამებრ, აქტიურად მუშაობს გასაუმჯობესებელ მხარეებზე. უნივერსიტეტმა დანერგა აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა, რომლის ფარგლებშიც პერსონალის მუშაობის შეფასება სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ხორციელდება. თუმცა სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დამატებითი მექანიზმები აკადემიური პერსონალის წასახალისებლად. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამაში, სასწავლო და კვლევითი პერსონალის მოტივირებისა და განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის წახალისება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ჯილდოს სტრუქტურირებულ სქემას, რათა ხელი შეუწყოს მოტივაციასა და შედეგიანობას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს აღინიშნა აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში.

დასკვნის სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის თეორიული საფუძვლები სრულად შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს, ხოლო ამ დოკუმენტების შესაბამისად განხორციელებული პროცედურები გამჭვირვალეა და თანმიმდევრული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზი
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები.
- წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი.
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითვის შედეგების ანალიზი
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა განავითაროს დამატებითი მექანიზმები აკადემიური პერსონალის წასახალისებლად. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაში, სასწავლო და კვლევითი პერსონალის მოტივირებისა და განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის წახალისება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ჯილდოს სტრუქტურირებულ სქემას, რათა ხელი შეუწყოს მოტივაციასა და შედეგიანობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში წარმატებული აკრედიტაციის უზრუნველსაყოფად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს, რაც პროცესის კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს. ამ მიზნით, უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

აკრედიტაციის პროცესის გარდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ) უზრუნველყოფს გარე ექსპერტების თანმიმდევრულ ჩართულობას თავისი საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველ შეფასებაში. პროგრამამ გაიარა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გარე შეფასების პროცესი, რომლებიც შერჩეული იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მათი მიუკერძოებლობისა და დარგობრივი ექსპერტიზის საფუძველზე,.

გარე შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები ყურადღებით იქნა განხილული და სისტემატურად ინტეგრირდა პროგრამის განვითარების მიმდინარე პროცესში. აღნიშნულიმა გარე უკუკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროგრამის გაუმჯობესებაში, მის მეტად დასაახლოებლად საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებთან.

გარე შეფასების შემდგომი ხელშეწყობისათვის, პროგრამის საბოლოო ვერსია წარედგინა სხვადასხვა დარგობრივ ორგანიზაციებსა და სააგენტოებს. ამ დაწესებულებებიდან მიღებულმა პოზიტიურმა შეფასებებმა დაადასტურა, რომ პროგრამა შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებსა და სტანდარტებს. აღნიშნული მიგნებები ასევე დადასტურდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს, დამსაქმებლებთან ჩატარებული გასაუბრებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე შეფასების შედეგები
- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის შეფასების შედეგების ანალიზი

- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: o არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: o არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესი მოიცავს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, შესაბამისი პროგრამების კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული პროცესი მოიცავს მონაცემების სისტემატურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.

პროგრამების შეფასება, როგორც ეს მოცემულია 5.1 კომპონენტის შეფასებაში, მოიცავს სხვადასხვა ინდიკატორებს, მათ შორის აკადემიური მოსწრებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, მოთხოვნას პროგრამაზე და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებსა და პერსპექტივებს.

გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემების სისტემატური შეგროვება და ანალიზი, ისეთ მექანიზმებთან ერთად, როგორიცაა უკუკავშირი და ინფორმაციის დისემინაცია, გამოიყენება შეფასების დროს, სასწავლო გეგმის დიზაინში ან განხორციელებაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და აკადემიური მოსწრების შეფასების პროცესს. აღნიშნული მიდგომა განსაზღვრულია დოკუმენტში, რომელიც აღწერს პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობების შეფასებას, და განსაზღვრავს პროცედურებსა და კრიტერიუმებს პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობისათვის.

ყოველწლიურად, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები წარადგენენ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს მათ სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს და ხელს უწყობს მათი რეიტინგული ქულის განსაზღვრას. გარდა ამისა, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა.

თუმცაღა, როგორც უკვე აღნიშნულია კომპონენტში 5.1, სასურველია, უნივერსიტეტმა განავითაროს დამატებითი მექანიზმები აკადემიური პერსონალის წახალისებისათვის. აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაში, სასწავლო და კვლევითი პერსონალის მოტივირებისა და განვითარებისათვის. აკადემიური პერსონალის წახალისება უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ჯილდოს სტრუქტურირებულ სქემას, რათა ხელი შეუწყოს მოტივაციასა და შედეგიანობას.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ახორციელებს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ თითოეული კურსის დასასრულს, სტუდენტთა შეფასებები აუმჯობესებდეს და ხვეწდეს პროგრამებს. სტუდენტები თავიანთ უკუკავშირს აფიქსირებენ კითხვარებისა და გამოკითხვების მეშვეობით, რომელთაც კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

შეფასების პროცესი მოიცავს სწავლების მეთოდოლოგიების, კურსის შინაარსისა და პროგრამის შედეგების ანალიზს. მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სილაბუსების, მასალებისა და პროგრამის ერთიანი სტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესებისთვის.

სამაგისტრო პროგრამა "საავიაციო მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტები აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას, აქცენტს აკეთებენ მის რელევანტურობაზე, ხელმძღვანელობის ხარისხსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაზე.

პროგრამა უზრუნველყოფს გამოცდილი ხელმძღვანელების ჩართულობას, რომელთაც კვლევითი ექსპერტიზა გააჩნიათ ავიაციის სფეროში. ხელმძღვანელები უწყვეტ მხარდაჭერას უწევენ სტუდენტებს კვლევის პროცესში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის პროცესს ინდუსტრიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, რაც სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკული კვლევისა და სტაჟირების შესაძლებლობებს. კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმები მოიცავს ხელმძღვანელის უკუკავშირს, პროგრესის რეგულარულ შეფასებასა და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენასა და დაცვას.

გარდა ამისა, სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი დაესწროს ახალი ლექტორების ლექციებს რამდენიმე მიზეზის გამო, როგორიცაა: სასწავლო პრაქტიკაზე პირდაპირი დაკვირვება, ახალი ლექტორების მხარდაჭერა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გაძლიერება. ამჟამად აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება არ ხორციელდება საკლასო დაკვირვების წინასწარ განსაზღვრული შაბლონის გამოყენებით. თუმცა რეკომენდებულია აღნიშნული შაბლონის შემოღება, როგორც ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მექანიზმისა.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში წარმოდგენილი არ ყოფილა ცალკე დოკუმენტი, რომელიც შეადარებდა პროგრამას წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან. სასურველია, მომზადდეს შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის) დამოუკიდებელი დოკუმენტი, რაც გაუმჯობესებს პროგრამის შეფასებას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რადგან შექმნის სტრუქტურირებულ რეფერენსირებას, რომელიც გაამარტივებს ინფორმირებულ გაუმჯობესებას და პროგრამის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- გამოკითხვის ფორმები და ჩატარებული გამოკითხვები.
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანალიზი;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის შეფასების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად წინასწარ განსაზღვრული შაბლონების დანერგვა/გამოყენება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი დაესწროს ახალი ლექტორების მიერ ჩატარებულ ლექციებს.
- სასურველია მომზადდეს შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის) დამოუკიდებელი დოკუმენტი, რაც გააუმჯობესებს პროგრამის შეფასებას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკებთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.
რეკომენდაციები:

რჩევ(ები)ა:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☐	☒	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☐	☒	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐
3 საავიაციო მენეჯმენტი	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამა 1. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ქართულენოვანი - VI საფეხური.

პროგრამა 2. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა, 180 კრედიტი, ინგლისურენოვანი- VI საფეხური.

პროგრამა 3. საავიაციო მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა, 60 კრედიტი, ინგლისურენოვანი - VII საფეხური.

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
1 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2 საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3 საავიაციო მენეჯმენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

გეორგ ქუფი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკა გეგეშიძე

შორენა ქურდაძე

ნინო პატარაია

ნატო ფერაძე